ლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ს. ხ. ხ. რ
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24, ტელეფონი 5—48.
ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—8.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—8.500.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 5.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

დღიური

— საქსონიის სოციალ-დემოკრატებმა წინადადება მისცეს [illegible] პარტიას მთავრობაში შესვლაზე.

— ბერლინის სოციალ-დემოკრატები [illegible] ცდილობენ ხელი შეუშალონ საქსონის ს[illegible] ერთიანებას კომპარტიასთან.

— საოკუპაციო ხელისუფლებამ დიუსელდორფში დააპატიმრა კომუნისტები.

— ბულგარეთის მთებში გრძელდება შეტაკება მთავრობის ჯარსა და აჯანყებულთა შორის: 2000 აჯანყებული იძულებული შეიქნა გადასულიყო სამხრეთ-სლავიის საზღვარზე.

№ 226 ოთხშაბათი, 3 ოქტომბერი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 300.000 მ. ნ. № 226

თველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა პარასკევს, 5 ოქტომბერს,

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგში დასვან საკითხი

მდგომარეობა გერმანიაში

თეზისები იხილეთ დღევანდელ გაზეთში.

სამდივნო.

დგომარეობა გერმანიაში

(თეზისები)

ერმანია იმყოფება პროლე-
ლ რევოლიუციის წინ. ეს მტკი-
არ იწვევს არავითარ დავას;
აღიარებს თვით კანცლერი
ეზმანი, რომელიც სათავეში უდ-
ოგორც ეხლა ამბობენ გერმა-
უკანასკნელ კონსტიტუციო-
თავრობას. „ნუ მოვიტყუებთ
თავსო", განაცხადა მან თავის
ით უკანასკნელ სიტყვაში. „ხა-
მელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ,
ევოლიუციის, სოციალურ რე-
ციის ხანა. არასოდეს კაცობ-
ასე არ ყოფილა გათიშული გა-
ული ბრძოლით სახელმწიფო-
ფორმებისათვის და სახელმ-
მართვა-გამგეობისათვის, არა-
კლასებს ასე არ უბრძოლიათ
ეთის წინააღმდეგ, როგორც
დელ მომენტში".
ერმანიის ეკონომიური მდგო-
ა კატასტროფიულია. დოლა-
მად ფასობს 150 მილიონი
. ი. 15 ჯერ უფრო ნაკლები,
ჩვენში, ამიერ-კავკასიაში. გერ-
კვალიფიციურ მუშას ეძლევა
ნახევარი დოლარი მაშინ,
აც ამერიკელს—12 დოლარი
მცხოვრებთა ფართო მასების
ვება ყოველ საათობით იზრ-
ა შეგნება, რომ მომავალში
შეიძლება გაგრძელდეს და
ეროა გამოსახულ იქნას რაი-
ისავალი, საყოველთაო ხდება.
იაში ახლოვდება ის გადამ-
მომენტი, როდესაც თოფები
ით დაიწყობენ სროლას.
ერმანიის მდგომარეობის ერთ-
გაუარესება გამოწვეულია
ების მიერ რურის ოკუპაციით.
კუპაციამ გამოიწვია საშინელი
ოება გერმანიის ყველა კლა-
ოის და ქვეყნის სათავეში
მსხვილ ბურჟუაზიას, კუნოს
[illegible]
ო გაერთიანებია მტაცე-
ინააღმდეგ ბრძოლაში მთე
ელი ხალხი, რომ გერმა-
უაზიას ხელახლა არ მოინ-
ბრძოლის წარმოება გერმა-
ლეტარიატის ხარჯზე.
ულთა კლასის დაბეგვრის
, რაც მისცემდა მთავრობას
ხელფასს რურის მუშებისა-
ავე სიძვირესთან ბრძო-
საშუალებას, მთავრობა შე-
ტრილიონებზე—ტრილიონების
დ ქაღალდის ფულების
ისათვის დარიგებას პასიურ
ეგობის გასატარებლად, რუ-
მოიებათა მუშა-მოსამსახურე-
ჯამაგირების მისაცემად და
ის ვალიუტის შესაძენად,
ძირო იყო მრეწველობისათ-
ცხოეთის ნახშირის და ნედლი
ს სასყიდლად. ამას შედეგად მო-
ს, რომ ქაღალდის ფულმა
მთელი ქვეყანა, მარკის კურ-
ალებით ეცემოდა, ხოლო კურ-
თი დაცემით წარმოშობილმა
ამ გამოიწვია გაფიცვების
ბი, რასაც შედეგად მოჰყვა
კაბინეტის დაცემა.
ელისუფლების სათავეში ჩა-
შტრეზემანის სამინისტრო
რება გერმანიის საშუალო ბუ-
ის ინტერესებს. პოლიტიკუ-
ი წარმოადგენს ფინანსიურ
ების ცდას, ბურჟუაზიის და-
ი და სოციალ-დემოკრატიას-
ალი ხელშეკრულების დადე-
სცდილობს თავიდან აიშო-
ხის აღშფოთება. შტრეზემა-
ვრობა იყო შედეგი ბურჟუა
პარტიების დიდი კოალიციისა
ლ-დემოკრატებთან, რომელთაც
ნეს მთავრობაში მთელი რიგი
თი წარმომადგენლებისა ფი-
მინისტრის ჰილფერდინგის
ობით. სოციალ-დემოკრატები
ბენ, რომ ფინანსიური რე-
ა და პირველ რიგში რურში
წინააღმდეგობის შეწყვეტა
ანგეთის წინაშე ფაქტიური
აცია შეაჩერებს მარკის
ულ დაცემას და განტვირ-
ექტრონით ავსილ ატმოს-

ტყვით ჰილფერდინგი და-
თელ რიგ ფინანსიურ რე-
ის გატარებას, რომელიც
ება მსხვილი ბურჟუაზიის
აზე; თავის დროზე იგივე
დინგი მოითხოვდა რეალურ
ა კონფისკაციას, მრე-
ლებით სინდიკატების
ნაწილობრივ
ავე დროს
ხაზს უს-
ების გან-
. ი.
ბილე-

საფინანსო პროგრამის განხორციელებას, მას არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეესუსტებია პროლეტარიატის ძალები, რომელნიც ყველაზე მეტად არიან დაინტერესებული საგადასახადო რეფორმით, და რომელთაც შეუძლიათ მსხვილი ბურჟუაზიის წინააღმდეგობის დაძლევა. მაგრამ იმ მთავრობის ყოველივე ღონისძიება, რომელშიაც ჰილფერდინგიც შედის, იყო ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების გაშვება და რეპრესიები პროლეტარულ პრესის წინააღმდეგ. ეს არის საუკეთესო დამამტკიცებელი იმისა, რომ მსხვილ ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად შტრეზემანის და ჰილფერდინგის მთავრობა არ წავა.

7. ამასთან ერთად იგი წავიდა ნაკლებ წინააღმდეგობის გზით საფრანგეთის წინაშე კაპიტულიაციაზე რურის საკითხში. გერმანიის მსხვილი ბურჟუაზია, რომელსაც არ სურს თავს იდვას ომით გამოწვეული გადასახადები, გამოიყენებს რურში შექმნილ მდგომარეობას იმისათვის, რათა გაალვივოს ნაციონალისტური შუღლი შტრეზემანის მთავრობის, როგორც კაპიტულიაციის კაბინეტის წინააღმდეგ. მეორეს მხრივ მუშათა კლასს არ შეუძლია გულგრილად უცქიროს საფრანგეთის ბურჟუაზიასთან დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც აყენებს გერმანელ მუშას თავის და საფრანგეთის კაპიტალის ორნაირ უღლის ქვეშ. გერმანიის პროლეტარიატს არ შეუძლია უბრძოლველად დასთმოს რურის ოლქი საფრანგეთის ბურჟუაზიის „გასანადგურებლად". ამგვარად მაშინ, როდესაც შტრეზემანის მთავრობა ირყევა სიტყვიერ ფინანსიურ რეფორმებსა და შეთანხმების ცდის შორის, ორივე ბანაკში მსხვილ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის სწარმოებს უკანასკნელი მზადება გადამწყვეტი ბრძოლისათვის. როგორია ძალთა განწყობილება ამ ბანაკებში?

8. მსხვილი ბურჟუაზია, როგორც ყოველთვის სცდილობს დაიხსნას თავისი კლასიური მტერი მეფე-სიმშილის დახმარებით. ემყარება რა ფულების უქონლობაზე, შეუძლებლად მიაჩნია რა ერთსა და იმავე დროს გადაიხადოს ხელფასიც და გადასახადებიც, გერმანიის მრეწველები აცხადებენ ლოკაუტებს, რომელიც აიძულებს გერმანიის მთავრობას უარი სთქვას თავის საგადასახადო გეგმებზე. კაპიტალისტური პრესა ავსებულია წერილებით მრეწველობისათვის სრულიად მიუღებელ მაღალი ხელფასის შესახებ, მთელ რიგ ადგილებში წარმოებები მასიურად იხურებიან,—საქსონიაში მაგ. გამოცხადდა ათასზე მეტი წარმოების დახურვა—ან ეს წარმოებები გადადიან არა სრულ სამუშაო დღეზე. მსხვილი ბურჟუაზია ფიქრობს გამოიწვიოს გაღატაკებულ მასებში სასოწარკვეთილება, რასაც ჩვეულებრივ თან სდევს ექსცესები და ეს კი საბაბს მისცემს მთავრობას ანარქიასთან ბრძოლის სახით სისხლში ჩაახრჩოს ხალხის აღშფოთება. ნოსკეს მაგალითი ჯერ კიდევ არ არის დავიწყებული და იგი ამტკიცებს, რომ სოციალ-დემოკრატები სიამოვნებით ასრულებენ ჯალათების როლს.

გარდა მთავრობის ჯარებისა, რომელთა რიცხვი უდრის 350 ათასს, მსხვილ ბურჟუაზიას შეუძლია დაემყაროს კიდევ ფაშისტების 200 ათასიან არმიაზე. დამცირებულ და განადგურებულ გერმანიაში განსაკუთრებით ხელსაყრელია ნიადაგი ფაშიზმის განვითარებისათვის ქალაქის საშუალო ფენებს, ინტელიგენციის, ხელოსნების შორის, ამასთან ერთად ყოფ. აფიცრები და უნტერ აფიცრები შეადგენენ სხვადასხვაგვარ ფაშისტურ ორგანიზაციების ჩონჩხს. ყველა ამ ორგანიზაციებს ახსოვთ გერმანიის წარსული ძლიერება, ბრალს სდებენ ყოველგვარ უბედურებათა მოვლინებაში „ნოემბრის დამნაშავეთ" (გერმანიაში რევოლიუცია მოხდა 1918 წ. ნოემბერში) და ავსებენი არიან სიძულვილით ანტანტისადმი. მსხვილი ბურჟუაზია მოხერხებულად იყენებს ფაშისტების ასეთ განწყობილებას საფრანგეთის წინაშე შტრეზემანის კაპიტულიაციის საკითხში და ის წინააღმდეგი არ არის გამოიყენოს მისთვის ხელსაყრელი სიტუაცია სახელმწიფოებრივ გადატრიალებისათვის.

9. გადატრიალების ასეთი ცდები არ მოუსწრებენ პროლეტარიატს მოუმზადებელს. ის ენერგიულად ემზადება საბრძოლველად. მისი ავანგარდი—კომუნისტური პარტია დღითიდღე მტკიცდება. უკანასკნელ ხანებში კომპარტიის წევრთა რიცხვი თითქმის 100 ათას კაცით გაიზარდა (250—350 ათას.) იმ დროს, როდესაც გაერთიანებულმა სოციალ-დემოკრატიამ დაჰკარგა თითქმის თავის წევრთა ნახევარი (1800 ათას—700 ათასამდე).

მარტო პარტია, როგორათაც ძლიერი არ უნდა იყოს ის, მასის აქტიურ დახმარების გარეშე ვერაფერს მოიმოქმედებს. კომპარტიის მასებთან დამაკავშირებელ აპარატებს საფაბრიკო და საქარხნო კომიტეტები წარმოადგენენ. უკანასკნელ წლის განმავლობაში კომუნისტებმა გადამწყვეტი გავლენა მოიპოვეს ამ კომიტეტებზე, რომლებიც სასტიკათ რევოლიუციონურ ტაქტიკას ანხორციელებენ და თავის გარშემო მუშათა კლასის უმრავლესობას რაზმავენ. საფაბრიკო და საქარხნო კომიტეტების ძალა მტკიცდება მით, რომ, შტრეზემანის მთავრობის აკრძალვის მიუხედავათ, ისინი განაგრძობენ მუშაობას და ყრილობასაც იწვევენ. დაბოლოს, კლასობრივ ბრძოლის გაქწვავებისა და, კერძოთ, ფაშიზმის ზრდის გავლენით გერმანიის მუშათა შორის იქმნება პროლეტარული ასეულები — მომავალ წითელი გვარდიის საძირკველი. აღმოცენდენ რა როგორც თავდაცვის ორგანიზაციები, ისინი თანდათან უფრო აქტიური ხდებიან და, მაგალითად, საქსონიაში, იმდენად განმტკიცდენ, რომ ოფიციალურად მოითხოვდენ მთავრობისაგან იარაღს. სულ გერმანიაში პროლეტარულ რაზმების 1000 ორგანიზაცია ითვლება.

ასეთმა მდგომარეობამ ნება მისცა გერმანიის კომპარტიის ერთ-ერთ მთავარ მუშაკს ამხ. ბრანდლერს განეცხადებია პროფინტერნისათვის 21 სექტემბერს თავის მოხსენებაში!

„ძალა-უფლების დაპყრობას ჩვენ, ყველა პასუხისმგებელი მუშაკები, ვთვლით ადვილ და მისაწვდომ ამოცანათ. გაცილებით უფრო ძნელი და რთული საკითხია ამ ძალა-უფლების შენარჩუნება"-ო.

10. ძალა-უფლების შენარჩუნების საკითხში დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქისა და სოფლის საშუალო კლასების პოზიციას. უკანასკნელ ხანამდე ყველა ისინი თითქმის სავსებით რეაქციის ბანაკში იმყოფებოდენ, მაგრამ ეხლა თავისუფლდებიან მსხვილ ბურჟუაზიის გავლენისაგან. პირველათ გლეხობა, საბჭოთა რუსეთის მაგალითი, რომელმაც შესძლო თავისი დამოუკიდებლობის დაცვა და რომელიც არ გადაიქცა უცხოეთის კაპიტალის მონათ, მოწმობს, თუ რამდენათ სასარგებლოა ეროვნულ საქმისათვის რევოლიუცია. ამიტომაც კავშირი საბჭოთა რუსეთთან მეტათ პოპულიარულია გერმანიის ფართე მასებში. გარდა ამისა, გერმანიის საშუალო წრეები საკუთარ გამოცდილებით დარწმუნდენ, რომ ისინი გაძარცვეს, რომ მათ უკანასკნელი პერანგი წაართვეს მსხვილ მრეწველებმა და არა სპარტაკელებმა და რომ მსხვილ ბურჟუაზიის მტაცებლურ და სპეკულიატიურ პოლიტიკის წინააღმდეგ მხოლოთ და მხოლოთ კომუნისტები იბრძვიან. საშუალო წრეების კომუნიზმისაკენ მობრუნების სიმპტომები ყოველ ნაბიჯზე იჩენენ თავს და მრავალი გლეხური ორგანიზაცია, მაგალითად სილეზიისა და ტიურინგიის მშრომელ გლეხთა კავშირები 40,000 წევრით უკვე იმყოფება კომპარტიის უშუალო გავლენის ქვეშ. ითვალისწინებს რა პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის მთელს მნიშვნელობას, კომპარტია თავის ლოზუნგათ, რომელმაც მისი დროშის ქვეშ უნდა შეკრიბოს ყველა მშრომელნი, აყენებს მუშათა და გლეხთა მთავრობის შექმნას.

11. კიდევ უფრო მეტათ ძალა-უფლების შენარჩუნების საკითხი დაკავშირებული იქნება იმ პოზიციასთან, რომელსაც დაიჭერენ კაპიტალისტური სახელმწიფოები და, პირველათ ყოვლისა, საფრანგეთი, პოლონეთი და ჩეხია-სლოვაკია გერმანიის გამარჯვებულ რევოლიუციის მიმართ.

რომ ამ სახელმწიფოების მთავრობები ყოველ ღონისძიებას იხმარენ რევოლიუციის მუშათა სისხლში ჩასაღრჩობათ,—ყოველივე ეჭვს გარეშეა. მაგრამ რამდენათ ასრულდება ეს გეგმები დამოკიდებულია იმ აქტივობაზე, რომელსაც გამოიჩენს ამ ქვეყნების პროლეტარიატი.

რუსეთის ინტერვენციისა და რუსეთ-პოლონეთის ომმა დაამტკიცა თუ რა რიგ შესამჩნევი როლის შესრულება შეუძლია პროლეტარიატს ბურჟუაზიულ მტაცებლობისადმი წინააღმდეგობაში.

12. ს. ს. რ. კავშირისათვის საერთაშორისო კაპიტალის თავდასხმა გერმანიის პროლეტარიატზე მოასწავებს აგრეთვე გალაშქრებას ოქტომბრის მონაპოვრებზე. ამიტომ ჩვენ მზათ უნდა ვიყოთ გაბედული თავდაცვისა და გერმანიის რევოლიუციის აქტიურ დახმარებისათვის. პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვება გერმანიაში—მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციის უშუალო შესავალია. მისი დამარცხება დიდი ზიანია მთელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის, რომლის შედეგები იმდენად შესამჩნევი იქნება, რომ მათი გათვალისწინებაც ძნელია.

საქართველოს კ. პ. ტფ. კ-ის საagit.-საპროპ. განყოფილება.

კატასტროფის წინ

სამოქალაქო ომი გერმანიაში, რევოლიუცია ბულგარეთში, გაფიცვების ტალღა მცირე ანტანტის ქვეყნებში, უმუშევართა დემონსტრაციები ინგლისში და ამ ნიადაგზე შეტაკებები „წესრიგის" დამცველებთან, გადატრიალება ესპანეთში—ასეთია სურათი, რომელიც იშლება ჩვენს წინ.

ვერსალის შემდეგ დამდგარი „მშვიდობიანი ხანა" უახლოვდება თავის დასასრულს. „უკანასკნელი ომის იდეოლოგია", რომელსაც ასეთი გასავალი ჰქონდა მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის დროს და სოციალ-შოვინისტების, სოციალ-პაციფისტების მოქნილი სიტყვით და მჭრელი კალმით მოედო ნაციონალისტურ ბურუსში გახვეულ მასებს—ეს იდეოლოგია გაქრა ვითარცა კომლი. სხვანაირათ არც შეიძლებოდა მომხდარიყო. იმპერიალისტური ომი, ბუნებრივია, უნდა დათავებულიყო იმპერიალისტურივე ზავით ე. ი. მას უნდა შეექმნა ახალი პირობები ისევ დიდი ომების და მუდმივი მოუსვენრობის. ეს ასეც მოხდა. მაგრამ ამ ერთ გარემოებას თან სდევდა მეორე და არა ნაკლები მნიშვნელობის: სოციალურ წინააღმდეგობათა კიდევ უფრო გამწვავება, საწინააღმდეგო ინტერესთა კიდევ უფრო ერთმანეთისაგან დაშორება, მეტოქეთა შორის ნაპრალის გაფართოება. ამნაირათ უკვე „თავისთავათ" შეიქნა ომით გავერანებულ ევროპაში მდგომარეობა უაღრესათ რევოლიუციონური.

უმთავრესი რეზერვი რევოლიუციის წარმოდგენილია დღეს ცენტრალური ევროპის და პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, გერმანიის პროლეტარიატის სახით. სულისკვეთება გერმანიის მუშათა კლასის დღეს ბევრათ უფრო რევოლიუციონურია, ვინემ იყო ომამდი, როდესაც იქ გაშლილი იყო მემარჯვენე და ცენტრის სოციალ-დემოკრატიის გავლენით რეფორმისტული და შემთანხმებელი პოლიტიკა. ამას ხელს უწყობდა, უშუალო მიზეზი მისი — თვით გერმანიის მრეწველობის მდგომარეობა მსოფლიო მეურნეობის სისტემაში. „მსუქანი" ზედმეტი ღირებულებიდან, რომელსაც აძლევდა გერმანიის ბურჟუაზიას მრეწველობის მონოპოლიური მდგომარეობა და მისი გაფურჩქვნა, საკმაო „მსუქან" ლუკმას აძლევდა კვალიფიციურ ნაწილს მუშათა კლასისას. ამან შექმნა მუშათა არისტოკრატია კერძოთ და მანვე ჩააყენა დანარჩენების მდგომარეობა შედარებით უზრუნველყოფილ პირობებში. ამ ნიადაგზე გასაკვირალი არ იყო აღმოცენებულიყო და განვითარებულიყო კლასთა თანამშრომლობის და რეფორმისტული იდეოლოგია.

მაგრამ ომის შედეგებმა, გერმანიის დამარცხებამ და მით გამოწვეულმა საშინელმა ეკონომიურმა კრიზისმა მოგონებათ აქცია ახლო წარსული. დიდი ხნის პოლიტიკურ-კულტურულ მუშაობაში გავლილი და განვითარებული მუშათა კლასი ჩავარდა საშინელი გაჭირვების ბრჭყალებში. ეკონომიურათ უზრუნველყოფილი მდგომარეობა შეიცვალა და ამნაირათ ევროპაში ყველაზე უფრო განვითარებული მუშათა კლასი იძულებულია ეს თავისი განვითარება და გამოცდილება გამოიყენოს უკვე არა კლასთა თანამშრომლობისა და სოციალიზმში უმტკივნეულოთ „შეზრდისათვის", რომლის საშუალებას აღარ იძლევა სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა ქვეყნის, არამედ კლასთა ბრძოლისა და რევოლიუციის გზით გამარჯვებისათვის. ამ შეგნებამდი მიდის დღითი დღე უძლიერესი არმია საერთაშორისო მუშათა კლასის და ეს გარემოებაა, სხვათა შორის, ერთი მთავარი ფაქტორთაგანი, რომელიც აახლოებს ევროპაში არსებული რეჟიმის კატასტროფას.

ჩვენი მოვალეობაა უაღრესი სიფხიზლით თვალყურის დევნა მიმდინარე ისტორიული ამბებისათვის და აქტიური ჩარევა ამ ამბების მსვლელობაში, როდესაც და რამდენადაც ეს საჭირო შეიქნება რევოლიუციის გამარჯვებისათვის მთელ მსოფლიოში.

სახელმწიფო დაზღვევის მონოპოლიის გარშემო

ადამიანის კოლექტიურ შემოქმედების ერთი უმაღლესი მიღწევათაგანი არის დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან.

დაზღვევის პრინციპები ღრმად გამსჭვალულია სოლიდარობის და საზოგადოებრივობის იდეებით.

დაზღვევა სოციალური ინსტიტუტია და ამის მიხედვით, როგორც უმაღლესი მისი ორგანიზაციული ფორმა, უნდა იქნეს მიჩნეული, სახელმწიფო გაერთიანებული დაზღვევა.

დაზღვევით სახელმწიფო ახორციელებს თავის მიზნებს ისე, როგორც სხვა სახელმწიფოებრივი ფუნქციებით.

სახელმწიფო დაზღვევას, საბჭოთა ხელისუფლების სისტემაში, აქვს თავისი განსაკუთრებული ხასიათი, განსაკუთრებული მიზნები, რომლებიც შესამჩნევად განსხვავდებიან ბურჟუაზიულ სახელმწიფოს მიზნებისაგან.

მხოლოდ სახელმწიფო დაზღვევის აპარატს შეუძლია განახორციელოს საჭირო მასშტაბით სოფლის დაზღვევა, დაზღვევა წვრილ და მრავალრიცხოვან გლეხთა ქონებისა.

მხოლოდ სახელმწიფო დაზღვევის აპარატს შეუძლია აცდეს სპეკულიატიურ გზას და არ დაისახოს ფისკალური მიზნები.

მხოლოდ სახელმწიფო დაზღვევის აპარატს შეუძლია მთელი თავისი წმინდა მოგება მოახმაროს როგორც ცეცხლთა მებრძოლ ტეხნიკის გაუმჯობესებას ც ცეცხლ-შეუპოვარ აღმშენებლობის ხელის შეწყობას და პროპაგანდას, ისე სათადარიგო თანხის გაძლიერებას. აქ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „გოსსტრახმა" პირველ წლის შემოსავლიდან 20 პროცენტი უკვე გადასდო ცეცხლთან ბრძოლის მიზნებისათვის. ეს 20 პროცენტი უნდა იქნეს მოხმარებული ცეცხლ მქრობელ იარაღების შესაძენათ და გასაუმჯობესებლათ. პირველ რიგში, იმ გუბერნიებში, სადაც ცეცხლის საშიშროება მეტია.

გარდა ამისა, მხოლოდ სახელმწიფო დაზღვევის აპარატს შეუძლია გამოიმუშაოს და განახორციელოს [illegible] შემცირება, რომ მცხოვრებლებს შეეძლება მიეცეს შესამჩნევად მოკლებულ პრემიის გადახდით უზრუნველჰყოს თავისი ქონება უბედურ შემთხვევებისაგან.

ამ სფეროში „გოსსტრახმა" უკვე შესამჩნევი მუშაობა ჩაატარა. 1922 წ. ივნისის დადგენილებით საქარხნო ტარიფებში 120 პროცენტიანი დამატება შეცვლილ იქნა 85 პროცენტიანით და ნოემბერში 50 პროცენტიანით. ქარხნის ფარგლებში მყოფ შენობებისათვის 70 პროცენტიანი დამატება შეცვლილ იქნა 30 პროცენტიანით.

ნოემბერშივე იქნა გამომუშავებული საგანგებო დაკლებული პრემიები დროებითი არა მომუშავე ქარხნების ნაწილებისათვის (ნორმალურზედ 50 პროცენტით ნაკლები) და სრულიად არა მომუშავე ქარხნებისათვის (გავრცელებულია ადგილობრივი ტარიფი). 1923 წლის აპრილის დადგენილებით, 50 პროცენტიანი დამატება შეცვლილ იქნა 25 პროცენტიანით და 30 პროცენტიანი 15 პროცენტიანით.

წისქვილების ტარიფებში 1923 წ. აპრილში 50 პროცენტიანი დამატება შემცირებულ იქნა 20 დან—35 პროცენტამდის.

სასოფლო განაკვეთი დაზღვევის პრემიები 1923 წელს შესამჩნევად იქნა შემცირებული შედარებით 1922 წელთან და მთელ რიგ გუბერნიებში ეს პრემიები უკვე ბევრათ ნაკლებია, ვიდრე იყო ძველ ერობების ტარიფები.

დაზღვევაში უკვე შემოღებულია დიფერენციალური ტარიფი (ტარიფი აშენებულია იმის და მიხედვით, თუ რა მასალიდან არის გაკეთებული კედლები და სახურავები), რამაც გამოიწვია შესამჩნევი შემცირება პრემიების 1922 წელთან შედარებით.

კეთილ სურვილით დასაზღვევი ტარიფები, ამა წლის იანვრის და თებერვლის დადგენილებით, საგრძნობლად შემცირებულია. უკანასკნელად „გოსსტრახის" ცენტრალურმა ორგანომ უკვე დაადგინა და წარადგინა დასამტკიცებლათ საქონლის ტარიფები, რომლებიც, შედარებით არსებულ ტარიფებთან, დაახლოვებით 2-ჯერ ნაკლებია, მხოლოდ ზოგ ქალაქებისათვის პრემიები უკვე ნაკლებია, ვიდრე ძველ სააქციო საზოგადოებების პრემიები და ხშირად შეადგენ 50—60 პროცენტს.

მუშაობა, ტარიფების შემოკლების სფეროში, განუწყვეტლივ მიმდინარეობს და იქ, სადაც სტატისტიკური ცნობები ამის საშუალებას იძლევა, პრემიების შემცირება დაუყოვნებლივ ტარდება ცხოვრებაში.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ გოსსტრახის ტარიფები შენდება იმ პრინციპებზე, რომ 50 პროცენტი სრული შემოსავლისა დაუბრუნდეს დამზღვევლებს, რომლებსაც უბედური შემთხვევა მოუხდებათ, დანარჩენი 50 პროცენტი იხარჯება:

1. „გოსსტრახის" მმართველობაზედ და დაზღვევის საქმის ორგანიზაციაზედ;
2. ცეცხლ-მებრძოლ ორგანიზაციებზე და იარაღებზე და
3. სათადარიგო თანხის გასაძლიერებლად.

რასაკვირველია, სათადარიგო თანხა, რაც უნდა დიდი შეიქნეს ის, არ იქნება დახარჯული დაზარალებულ მემამულეთა საჭიროებისათვის, როგორც ჰქონდა ადგილი საერობო დაზღვევის დროს და არც ჩავა სპეკულიანტების ჯიბეში, როგორც იყო სააქციო საზოგადოებების დროს.

სათადარიგო თანხა ის რეზერვია, რომლიდანაც დაკმაყოფილდება დამზღვევები საერთო სტიქიურ მოვლენის დროს, რის შესაძლებლობა, ჩვენს სინამდვილეში, სრულიად მოსალოდნელია, ე. ი. დაუბრუნდება თვით ხალხს.

უკანასკნელათ სახელმწიფო დაზღვევა, არსებულ წყობილების დროს, უნდა დადგეს ისეთ ნიადაგზე, რომ ის წარმოადგენს გარდამავალ ფორმას მომავალ საზოგადოებრივ-სოციალისტურ უბედურ შემთხვევების უზრუნველყოფის ინსტიტუტისათვის და ის შესძლებს ამას, თუ შექმნის საჭიროდ მძლავრ და ფართო აპარატს და მიაჩვევს ფართო მასას ამ აპარატის საშუალებით შექმნას სათადარიგო ფონდი სტიქიურ უბედურ შემთხვევებთან საბრძოლველათ.

მიუხედავათ ჩამოთვლილ დადებითი მხარეებისა, სახელმწიფო დაზღვევის წინააღმდეგ, დღიდან მისი დაკანონებისა (დეკრეტი 6 ოქტომბრიდგან 1921 წლ.), შეიქნა გამუდმებითი მუშაობა. სხვადასხვა კომისარიატები და ცენტრო კავშირი განუწყვეტლივ იმუშავებდნენ ახალ ახალ დეკრეტების პროექტებს და ადგენდნენ სათანადო ადგილებში დასაკანონებლათ.

მეტად საინტერესოა ის, თუ რა ფორმით ტარდებოდა ეს ბრძოლა და რა შედეგს მიაღწია.

1922 წელს 27 და 28 ივლისის სხდომაზედ უმაღლეს სამეურნეო საბჭოს კომისიამ დაინტერესებულ კომისარიატების, ცენტროკავშირის და „გოსტრახის" წარმომადგენელთა თანადასწრებით, მიუხედავათ „გოსსტრახის" მტკიცებისა და პროტესტისა, მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმათ კერძო მესაკუთრეებს და კომისარიატებს უნდა მიცემოდათ უფლება ურთიერთ შორის დასაზღვევ კავშირის დაარსების. 1922 წლ. 1 ივლისს „გოსპლანის" სასტატისტიკო-ეკონომიურ სექციამ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად სახელმწიფო დაზღვევა იყო ცნობილი საუკეთესო ფორმად მცხოვრებთა უბედურ შემთხვევისაგან დასაზღვევათ და მისი დაქსასვა დაწესებულებათა და კერძო კავშირთა შორის სცნო დაუშვებლათ და საზარალოთ.

1922 წლის 3 ივლისს სახალხო კომისართა მცირე საბჭომ არ შეიწყნარა სამეურნეო საბჭოს და ცენტრო-კავშირის პროექტი, რომლის თანახმათ მათ უნდა მიცემოდათ უფლება ურთიერთ შორის დასაზღვევ კავშირის დაარსების, მხოლოდ „გოსსტრახის" მიერ წარდგენილი დამატებითი პროექტი 6 ოქტომბრის დეკრეტის შესავსებლათ უცვლელივ იქნა მიღებული და თვით საბჭოს მიერ იქნა დამატებული ახალი პუნქტი, რომლის ძალით სავალდებულო დაზღვევა უნდა გავრცელებულიყო არა მარტო იმ სახელმწიფო ქონებებზეც, რომლებიც იჯარათ არის გაცემული, არამედ იმ ქონებებზეც, რომლებიც სახელმწიფო ორგანოების ექსპლოატაციაშია. 25 ივლისს სახალხო კომისართა მთავარმა საბჭომ ზემოაღნიშნული დადგენილება დაამტკიცა გარდა ს. კ. მცირე საბჭოს დამატებითი პუნქტისა.

უნდა გვეფიქრნა, რომ ამის შემდეგ, სახელმწიფო დაზღვევის ინსტიტუტის მოწინააღმდეგენი დაწყნარდებოდენ, მაგრამ სინამდვილემ სულ სხვა გვიჩვენა. ამა წლის 5 იანვარს სამეურნეო საბჭომ, სასურკომმა და შინაგან საქმეთა კომისარიატმა, სახ. კომის. მცირე საბჭოს სხდომაზედ, ისევ წამოაყენეს საკითხი დაწესებულებათა ურთიერთ შორის დაზღვევის აპარატის შექმნის შესახებ, მაგრამ კითხვა ისევ უარყოფით იქნა გადაწყვეტილი.

თანახმად ჩამოთვლილ კომისარიატების უკმაყოფილებისა, კითხვა ისევ სახ. კომ. მთავარ საბჭოს სხდომაზედ იქნა გადატანილი, რომელმაც 23 იანვრის დადგენილების თანახმად ეს კითხვა გადასცა „გოსპლანს" დასკვნისათვის. გოსპლანის კომისიამ 6 თებერვლის სხდომაზედ, და „გოსპლანის" პრეზიდიუმმა 13 თებერვლის სხდომაზედ, საკითხის ყოველ მხრივ გამოკვლევის შემდეგ, უარჰყო დაწესებულებათა ურთიერთ შორის დაზღვევის აპარატის შექმნის პროექტი და სცნო აუცილებლად და საქმისათვის სასარგებლოდ ყოველგვარი დაზღვევის წარმოება მინიჭოს მხოლოდ „გოსსტრახს". თანახმად სახ. კომ. მთავარ საბჭოს დადგენილებისა, სახ. კომ. მცირე საბჭომ 14 ივნისის დადგენილებით დააკანონა „გოსსტრახის" პროექტი სრულიად უცვლელად. რასაკვირველია, თვით „გოსსტრახი" ვალდებული გახადეს (იმავე დადგენილებით), რომ იგი დიდი ყურადღებით მოექცეს მთავრობათა, კომუნალურ და კოოპერატიულ დაწესებულებების ინტერესებს და კიდევ მეტი,—დაწესებულებებს მიეცა საშუალება, რომ იმოქმედონ თვით „გოსსტრახის" დასაზღვევ საბჭოს შექმნის სახით, სადაც შედიან გადამწყვეტი ხმით ყველა დაინტერესებული კომისარიატების და კოოპერატივის წარმომადგენლები.

მეტად საინტერესოა იუსტიციის სახალხო კომისარიატის დასკვნა, რომლიდგანაც ქვემოდ მოვიყვან ზოგიერთ ადგილებს:

1. იუსტიციის სახ. კომისარიატი სცნობს, რომ საერთო სახელმწიფო ინტერესების დასაცავად და მისი მიზნების დაუბრკოლებლივ ცხოვრებაში გასატარებლად და აგრეთვე ზედნახარჯ და მმართველობის ხარჯების შესამცირებლად, სრულიად აუცილებელია დაზღვევის მონოპოლია ერთ ცენტრალურ აპარატის—„გოსსტრახის" ხელში.

2. იუსტიციის სახ. კომისარიატი სცნობს, რომ საბჭ. სოც. რესპუბლიკათა კავშირის ინტერესები თხოულობს ყველა ფორმის დაზღვევა იქნეს „გოსსტრახის" ხელში, მით უმეტეს, რომ მუშათა და გლეხთა მთავრობას, მხოლოდ ამ შემთხვევაში მიეცემა საშუალება განახორციელოს სხვა თავისი მიზნებიც. მაგალითად, დასძენს იუსტ. სახ. კომ., საერთო მოგება, მიღებული სეტყვისაგან დაზღვევით—მოხმარდება პრემიის შემცირებას და ხალხს მიეცემა საშუალება, შედარებით, უმნიშვნელო გადასახადით უზრუნველჰყოს მოსავალი უბედურ შემთხვევებში; აგრეთვე ცეცხლისაგან დაზღვევით მიღებული მოგებით, შესაძლოა შემცირდეს ოთხფეხ საქონლის დასაზღვევი პრემია, რაც ხელს შეუწყობს საქონლის გაშენებას და სხვა.

დაზღვევის მონოპოლია ერთ აპარატის ხელში, დასძენს იუსტ. კომ., გააძლიერებს ეკონომიურად სახელმწიფოს ისე, როგორც ჩვენი საგარეო ვაჭრობის ერთ ორგანოს ხელში გადაცემამ გააძლიერა საბჭოთა სოც. რესპ. კავშირის მდგომარეობა გარეშე ბაზარზე.

3. რასაკვირველია, სწერს იუსტიციის კომისარიატი, ბიუროკრატიული შაბლონი ყოველი საქმისათვის მავნებელი და დამღუპველია, მაგრამ ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს გვეშინოდეს, რომ „გოსსტრახის" მონოპოლია აუცილებლად ბიუროკრატიულ ხასიათს მიიღებს. პირიქით, თუ საქმეს გონიერად გაუძღობით, ბიუროკრატიზმს აქ სრულიად ადგილი არ ექნება მით უმეტეს, რომ ყველა დაინტერესებულ კომისარიატებს და კოოპერატიულ ორგანიზაციებს აქვთ საშუალება გავლენა იქონიონ დაზღვევის პოლიტიკაზე, დამზღვევ საბჭოს საშუალებით.

ამგვარად დღეს ეს ბრძოლა დასრულებულად უნდა ჩაითვალოს „გოსსტრახის" სრული გამარჯვებით.

რასაკვირველია, ამ საკითხის გარშემო განგაში კიდევ შესაძლოა ატყდეს, მაგრამ უნდა ვიმედოვნოთ, რომ შემდეგშიაც, სახელმწიფო დაზღვევის მოწინააღმდეგენი იგემებენ ისეთსავე დამარცხებას, როგორც არგუნა მათ აქამდის საქმის სწორ და ურყევ ნიადაგზედ დაყენებამ.

ინსპექტორი.

პროფინტერნის აღმასრულებელ ბიუროს სხდომა

უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები გერმანიისა და იტალიის მდგომარეობის შესახებ და განხილულ იქნა საკითხი იაპონიის პროლეტარიატისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

გერმანიის მდგომარეობა.

თავის მოხსენებაში გერმანიის მდგომარეობის შესახებ, ამხ. ჰამმერმა აღნიშნა, რომ ის კრიზისი, რომელსაც ამჟამად გერმანია განიცდის, დღითი დღე უფრო მწვავე ხდება. შტრეზემან-ჰილფერდინგის მთავრობამ არა თუ ვერ შესძლო ქვეყნის ფინანსიურ და ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესება, არამედ, პირიქით, ძალა-უფლების მის ხელში გადასვლის შემდეგ მარკის კურსის დაცემის სიჩქარემ უმაღლეს წერტილს მიაღწია. მთავრობა უკვე მზათ არის შეურიგდეს საფრანგეთის იმპერიალიზმს. აზრთა სხვადასხვაობა მხოლოთ კაპიტულიაციის ფორმის გარშემო სწარმოებს. რამდენათაც ეხლა აშკარაა, რომ ბურჟუაზიამ წააგო ომი რურში, ის ყოველგვარ ზომებს ხნარობს, რომ გასტეხოს მუშების პასიური წინააღმდეგობა, რომ შემდეგ დასდოს მათ ბრალი რურის დამარცხებაში. ოკუპაცია ქმნილ ოლქში სეპარატისტებმა მოახერხეს სინდიკალისტების მიმხრობა, და ეხლა ეს უკანასკნელები აგიტაციას ეწევიან რეინის ოლქის გამოყოფის სასარგებლოთ. ისინი ფიქრობენ, რომ გერმანიის დაქუცმაცება ნასარგებლო იქნება რევოლიუციისათვის.

კომუნისტები კი გადაჭრით მოითხოვენ პასიურ წინააღმდეგობის გაგრძელებას და ენერგიულ ბრძოლას აწარმოებენ სინდიკალისტების სეპარატისტულ მიდრეკილებათა წინააღმდეგ.

გერმანიის ეხლანდელი მთავრობა სცდილობს დაამტკიცოს, რომ კრიზისი გამოწვეულია შრომის მაღალი ხელფასით, უნდათ რა ჩიხიდან გამოსვლა, შტრეზემანი და მწარმოებლები, მიუხედავათ უმუშევრობის ზრდისა, კამპანიას აწარმოებენ სამუშაო დღის გაგრძელებისა და შრომის ხელფასის დაკლებისათვის.

მწარმოებლები მხარს უჭერენ შტრეზემანს მუშათა კლასის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში, მაგრამ მიუხედავათ ამისა ეს გარემოება ხელს არ უშლის მათ წინ აღუდგენ მის ფინანსიურ პოლიტიკას (კაპიტალისტების ლოღიკით, მსხვერპლი როგორც გავს, მხოლოდ მუშათა კლასმა უნდა გაიღოს), და შეამცირონ წარმოება, რითაც ქუჩაზე ყრიან მუშებს.

ამ ლოკაუტებით ისინი სცდილობენ თანხმობა გამოსტყუონ მუშებს შრომის ხელფასის შემცირებისა და სამუშაო დღის გადიდებისათვის.

პირველ საჭიროების საგნებზე ფასების კატასტროფიული ზრდა და ქარხნების მასიური დახურვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისა და პროლეტარულ საკონტროლო კომისიების მოძრაობას.

ბრანდენბურგში, პროლეტარულ რაზმის კონტროლის ქვეშ, შესდგა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ყრილობა. ყრილობები მოსალოდნელია ტიურინგიაში და სხვა ოლქებში. სამხრეთ გერმანიაში იწვევენ მუშებისა და უღარიბეს და საშუალო გლეხების ყრილობას.

სოციალ-დემოკრატები გამოდიან კომუნისტებისა და ოპოზიციონურ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების წინააღმდეგ, რომელნიც მოითხოვენ „მუშათა და გლეხთა მთავრობის" შექმნას.

ისინიც აგრეთვე კამპანიას ეწევიან მოხელეთა მაღალ შრომის ხელფასის დაკლებისათვის და გამოდიან გლეხების წინააღმდეგ, რითაც სურთ დაუმტკიცონ მუშათა მასებს, რომ ისინი წმინდა მუშური პარტია არიან. ნამდვილათ კი სოციალ-დემოკრატები კოალიციას ჰკრავენ ბურჟუაზიასთან და მხარს უჭერენ სტინესს.

ამავე დროს კი ფაშისტური მოძრაობა იზრდება და ფაშისტები ემზადებიან ახალ გამოსვლებისათვის მუშათა კლასის წინააღმდეგ. ფაშისტები აშკარად მოითხოვენ დიქტატურას. სოციალ-დემოკრატებსაც აგრეთვე აუცილებლად მიაჩნიათ ისეთი დიქტატურის შემოღება, რომელიც დაემყარება პარლამენტის უმრავლესობას.

ამხ. ჰამერის მოხსენება აღმასრულებელმა ბიურომ მიიღო ცნობათ.

იტალიის მდგომარეობა.

შემდეგ ამხ. ტრესსომ მოხსენება გააკეთა იტალიის მდგომარეობის შესახებ.

როგორც ცნობილია, მუსოლინიმ თავის პარლამენტარულ დეკლარაციაში სთქვა, რომ ის მზათ არის იმუშაოს მუშათა წარმომადგენლებთან ერთად. კიდევ მეტი, მან სურვილი გამოსთქვა, რომ იტალიაში დაარსებულიყო მუშათა პარტია ინგლისურ „ლეიბორ პარტი"-ს მზგავსათ.

დ'არაგონამ, მუსოლინთან მოლაპარაკების დროს, შრომის კონფედერაციის სოციალისტურ ჯგუფის სახელით კოალიციის შექმნის წინასწარ პირობათ წამოაყენა—მუშათა მოძრაობის თავისუფლება.

იგივე დ'არაგონა შრომის საერთაშორისო კონფედერაციის წარმომადგენლების თათბირზე მილანში იცავდა მუსოლინთან მუშაობის აუცილებლობას. მთავრობასთან მუშაობის მომხრეა აგრეთვე სოციალისტ-რეფორმისტების ლიდერი ტურატი.

კომუნისტების წინადადებაზე ძთლიანი ფრონტის შექმნის შესახებ ფაშიზმის წინააღმდეგ სოციალისტებს და მაქსიმალისტებს პასუხი არ მიუციათ, სკიაველლა მაქსიმალისტების სახელით იცავს შრომის კონფედერაციის სოციალისტებთან შეერთებულ მუშაობის აუცილებლობას და აყენებს ამსტერდამის პლატფორმას, რითაც ხაზს უსვამს კომუნისტებთან განხეთქილებას. ზოგიერთ ოლქების ჩამოვლის დროს ამხ. ტასკამ გამოარკვია, რომ პროფინტერნის გავლენა იზრდება და რომ მუშები წინააღმდეგი არიან დ'არაგონისა და კოალიციის.

მოხსენების გამო გადაწყვეტილია დაევალოს სპეციალურ კომისიას, რომელიც აღმასრულებელ ბიუროს წევრებისაგან შესდგება, შეიმუშაოს თეზისები იტალიის პროფკავშირებში მუშაობის საწარმოებლათ.

იაპონიის პროლეტარიატისათვის მატერიალურ და მორალურ დახმარების აღმოჩენის მიზნით მიღებულ იქნა მთელი რიგი პრაქტიკულ გადაწყვეტილებათა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადიო-დეპეშები

ოსტა“-ს ცნობები)

გერმანია რევოლიუციის წინ

შტრეზემანის მთავრობის წინააღმდეგ: საქსონიის სოციალ-დემოკრატებმა შეიგნეს მჭიდრო კავშირის აუცილებლობა კომუნისტებთან; მათ სთხოვეს კომუნისტებს მთავრობაში შესვლა.

ბერლინის სოციალ-დემოკრატები ყოველივე ღონეს ხმარობენ, რომ ხელი შეუშალონ საქსონიის სოციალ-დემოკრატების გაერთიანებას კომუნისტებთან.

საბჭოთა კავშირის მშრომელთა ხმა: პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პლენუმზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ გერმანიის რევოლიუციის საკითხი არის ამავე დროს საბჭოთა ფედერაციის საკითხიც. პლენუმმა მიიღო მოწოდების ტექსტები ევროპის მუშებისადმი.

რეაქციის ბანაკში: გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ გამოუშვა მანიფესტი, რომელშიაც მოითხოვს მხარის დაჭერას ბერლინის მთავრობისათვის.

საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლებამ დიუსელდორფში დააპატიმრა კომუნისტები; პრინც რუპრეხტმა მიიღო მიუნხენში ჯარების ალლუმი.

ფაშისტები მოითხოვენ სრულიად გერმანიის ფაშისტური მთავრობის შექმნას.

კაპიტულიაციის შემდეგ: კარმა გააუქმა რესპუბლიკის დაცვის კანონი. ხელისუფლების მიერ აკრძალულია კომუნისტების კრება.

კელნში გაიმართა დიდი ანტისეპარატიული დემონსტრაცია, რომელმაც დიდძალი ხალხი მიიზიდა.

გამარჯვებულთა ბანაკში: ინგლისმა და საფრანგეთმა გადასწყვიტეს გაიტანონ გერმანიიდან ყველაფერი, რის გატანაც კი შეიძლება.

შტრეზემანის მთავრობის წინააღმდეგ

საქსონიის სოციალ-დემოკრატების გაერთიანება კომუნისტებთან

ბერლინი 1 ოქტომბერი. ტერორის გაძლიერების გამო, საქსონიის სოციალ-დემოკრატებმა დაბოლოს შეიგნეს მჭიდრო კავშირის აუცილებლობა კომუნისტებთან. კომპარტიის ცეკას და რეიხსტაგის კომფრაქციის წარმომადგენლების თანადასწრებით გამართულ სხდომაზე, **ლიპინსკიმ საქსონიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით წამოაყენა საკითხი კომუნისტების მთავრობაში შესვლის შესახებ.**

კომუნისტებმა მთავრობაში შესვლის პირობათ წამოაყენეს ენერგიული გამოსვლა საალყო წესების წინააღმდეგ. მოლაპარაკება გრძელდება.

ბერლინის სოციალ-დემოკრატები ყოველივე ძალ-ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ ხელი შეუშალონ საქსონიის სოციალ-დემოკრატების გაერთიანებას კომუნისტებთან. მაგრამ დღემდე მათი ცდა უნაყოფოდ რჩება. პრაქტიკულად უკვე იწყება გაერთიანება. ლეიპციგში სოციალ-დემოკრატებმა და კომუნისტებმა გადასწყვიტეს გააერთიანონ პროლეტარული რაზმების ხელმძღვანელობა.

საალყო წესები—მხოლოდ მშრომელთათვის.

ბერლინი. 1 ოქტომბერი. საქსონიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და პროფკავშირებმა გამოიტანეს საპროტესტო რეზოლიუცია საქსონიაში გამოცხადებული საალყო წესების წინააღმდეგ, რომელიც მიმართულია მხოლოდ მშრომელთა წინააღმდეგ. რეზოლიუცია ხაზს უსვამს იმას, რომ ფაშისტებს თავისუფლად შეუძლიათ კრებების მართვა, ხოლო კომპარტიას კი ეკრძალება. რეზოლიუცია მოუწოდებს საქსონიის პროლეტარიატს არ აჰყვეს პროვოკაციას და შეგნებულად ემზადოს ბრძოლისათვის.

ხმები ბავარიაში საერთო გაფიცვის გამოცხადების შესახებ.

ნიუ-იორკი. 30 სექტემბ. „ჩიკაგო ტრიბუნ“-ის ბერლინელი კორესპონდენტი იტყობინება: „ვინაიდან ცენტრალურ მთავრობას განზრახვა არა აქვს გადამწყვეტი ნაბიჯები მიიღოს ბავარიის წინააღმდეგ, ამიტომ სოციალ-დემოკრატებმა და პროფკავშირებმა დაადგინეს გამოაცხადონ ორშაბათს ბავარიაში საერთო გაფიცვა ეს გაფიცვა გამოცდა იქნება კარის დიქტატურისათვის“.

საბჭოთა კავშირის მშრომელთა ხმა

„ჩვენ სულით და გულით თანაუგრძნობთ გერმანიის მუშათა კლასს“

საუბარი ამხ. ტროცკისთან.

მოსკოვი. 1 ოქტომბერი. ამერიკაში გამგზავრების წინ სენატორმა კინგმა პროფესორ ჯონსონთან და ამერიკელ ჟურნალისტ დობლევინთან ერთად ინახულა ამხ. ტროცკი. კინგის შეკითხვაზე, შესაძლებელია თუ არა ს. ს. რ. კავშირის ჩარევა იმ შემთხვევაში, თუ გერმანიაში რევოლიუცია მოხდება, ტროცკიმ უპასუხა.

„ჩვენ უწინარეს ყოვლისა ვილტვით მშვიდობიანობისაკენ. ჩვენ არ გავგზავნით არც ერთ წითელ არმიელს საბჭოთა რუსეთის საზღვრებს იქით, თუ ამას ძალით არ გვაიძულებენ. ჩვენ ამას ჩავიდენთ მხოლოდ პოლონეთთან ომის გზით, ომი კი ჩვენ არ გვსურს.

ომი დიდ ზიანს მიაყენებდა გერმანიის რევოლიუციას, რადგან მხოლოდ ის რევოლიუციაა მცხოველმყოფელი; რომელიც თავისი საკუთარი ძალებით იმარჯვებს. ჩვენ სულით და გულით თანაუგრძნობთ გერმანიას და მხარს დავუჭერთ მას საფრანგეთის მტაცებლურ, სისხლის მსმელ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ჩვენ სულით და გულით გერმანიის მხარეზე ვართ შინაურ და გარეშე ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ამავე დროს ხაზებით უჭერთ მხარს მშვიდობიანობას ჩვენი არმია არის მხოლოდ თავდაცვითი ძალა“.

კინგის შეკითხვაზე, აქვს თუ არა საბჭოთა მთავრობას, რომელსაც ჰყავს ძლიერი წითელი არმია, მილიტარისტული მიზნები, ამხ. ტროცკიმ უპასუხა: „ჩვენ გვყავს გვარიანი წითელი არმია, რომელიც შესდგება 600,000 ჯარისკაცისაგან. მაგრამ ეს არმია ძალიან შემცირებულია შედარებით საფრანგეთთან და უახლოეს ჩვენ მეზობლებთან, თუ მხედველობაში მივიღებთ მცხოვრებთა რაოდენობას, ჩვენს ტერიტორიას, სანაპირო საზღვრებს, და მრავალ ბუნებრივ სიმდიდრეს.

რუსეთს არ აქვს მიდრეკილება შეტევითი ომისაკენ, თავის დიდძალი ქონების და რკინის გზით მიმოსვლის არა საკმაოთ განვითარების გამო: ესავე პირობები, სუსხიანი ზამთრის მიმატებით, სავსებით უზრუნველყოფს ჩვენს თავდაცვის უნარიანობას. ამ ფაქტიდან გამომდინარეობს ჩვენი სამხედრო აღმშენებლობა. ჩვენ ვქმნით წმინდა თავდაცვით ტერიტორიალურ არმიას, და თანდათან საველე წითელ არმიას გარდავქმნით მილიციათ“.

რეაქციის ბანაკში

სეპარატისტული და მონარქიული მოძრაობა.

რომი. 1 ოქტ. გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელშიაც მოუწოდებს მხარი დაუჭირონ ბერლინის მთავრობას გერ. მთლიანობის დაცვის საქმეში. ამავე დროს რეინლანდის სხვადასხვა ქალაქებში გამოქვეყნებულია მოწოდებები, რომელნიც მოუწოდებენ ბრძოლისაკენ ბერლინის მთავრობის წინააღმდეგ და აცხადებენ, რომ რეინლანდი ახლო მომავალში გამოცხადებული იქნება ცალკე რესპუბლიკათ. ბავარიაში მდგომარეობა მეტად სერიოზული ხდება. ელიან პრინც რუპრეხტის ბავარიის მეფეთ გამოცხადებას.

საშინელი ხოცვა-ჟლეტა დიუსელდორფში.

ლონდონი. 1 ოქტ. „დეილი მეილის“ სპეციალური კორესპონდენტი იტყობინება, რომ კვირას დიუსელდორფში მოხდა ნამდვილი ხოცვა-ჟლეტა, რომელიც გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ. იმ დროს, როდესაც ჰინდენბურგის სახლთან შეგროვდა სეპარატისტების მრავალ-რიცხოვანი ბრბო, ქუჩაში მახლობლად გაიარა მშვიდათ კომუნისტების დემონსტრაციამ ინტერნაციონალის სიმღერით; დემონსტრანტები გაურბოდენ რაიმე შეტაკებას სეპარატისტებთან. უეცრად, როდესაც ბისმარკის ძეგლთან დაიწყო დემონსტრანტ-კომუნისტების და მუშების მიტინგი, ატყდა სროლა, რომელიც მიმართული იყო პირდაპირ მოგროვებულ ხალხისაკენ.

დემონსტრანტები გაიფანტენ ორივე მხრით თავის გადასარჩენათ. ამ დროს ქუჩის ბოლოს გამოჩნდა მწვანე პოლიცია, რომელმაც სროლა აუტეხა დემონსტრანტებს. ზურგიდან დაჭრილია ნახევარი. [illegible] აღადგინეს საფრანგეთის პატრულებმა, რის შემდეგ პოლიციამ კვლავ ასტეხა საშინელი სროლა ქუჩის გასწვრივ, სანამ საფრანგეთის ცხენოსანმა ჯარმა არ დაამშვიდა გამხეცებული პოლიცია. პოლიციელების მხეცური მოქმედებით გაბრაზებული დემონსტრანტები მისცვივდენ მათ და მოჰკლეს სამი პოლიციელი. ფრანგებმა პოლიციელების დასაცავად იხმარეს ცივი იარაღი და დასჭრეს 12 დემონსტრანტი.

კომუნისტების დაპატიმრება დიუსელ-დორფში.

პარიზი. 1 სექ. დიუსელდორფში საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლებამ დააპატიმრა კომუნისტების ლიდერები საოკუპაციო ჯარების საწინააღმდეგო აგიტაციის ბრალდების გამო.

ფაშისტების თავხედობა.

ბერლინი. 1 ოქტომბერი. მიუნხენის სინაგოგაში ფაშისტებმა დამტვრიეს მინები და გარეკეს მლოცველები. ებრაელთა გაზეთი „ეხო“ პროტესტს აცხადებს ფაშისტების ასეთ მოქმედების წინააღმდეგ და მოითხოვს კარისაგან მათ ალაგმვას.

ჰიტლერის გაზეთი აღსდგა.

ბერლინი. 1 ოქტ. ბავარიის დიქტატორმა კარმა შეაჩერა გერმანიის საერთო დიქტატორის ჰესლერის განკარგულება ჰიტლერის გაზეთის „ფოლკიშე ბეობახტერ“-ის გამოცემის აკრძალვის შესახებ. გაზეთი გამოდის ისევ და ძველებურათ ილაშქრებს კარის წინააღმდეგ, მაგრამ უფრო თავშეკავებულათ.

საალყო წესები

ჰანოვერი. 30 სექტ. საქსონიაში შემოღებულია საალყო წესები. აკრძალულია დემონსტრაციები.

კარის მიმდევარ ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრება.

ბერლინი. 30 სექტემბერი. შეიკრა კარის მიმდევარ ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრება. მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ რურის ბრძოლის შედეგი ამტკიცებს განმათავისუფლებელ ბრძოლისა და ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების შეუძლებლობას პარლამენტალურ სისტემით რეზოლიუცია ესალმება ცენტრალურ და ბავარიის მთავრობის მიერ თავის რწმუნებების დიქტატორებისათვის გადაცემას და ამაში ხედავს პარლამენტალურ სისტემის სიკვდილს. რეზოლიუცია მოითხოვს შტრეზემანისათვის უნდობლობის გამოცხადებას და მხარს უჭერს კარს; რეზოლიუცია მოითხოვს აგრეთვე, რომ საერთო-საიმპერიო მთავრობამ და დანარჩენმა მთავრობებმა უარი სთქვან ვერსალის ხელშეკრულების შესრულებაზე, შემოღებულ იქნეს საერთო სამხედრო და შრომის ბეგარა და მიღებულ იქნეს გადამჭრელი ზომები „ინტერნაციონალისტურ ბოროტმოქმედთა“ წინააღმდეგ.

რა არის ნებადართული და რა აკრძალული კარის მიერ.

ბერლინი. 30 სექტემბერი. ბავარიის დიქტატორმა კარმა გადასწყვიტა მოაწყოს ბაირეიტში გერმანული ეროვნული დღე და ამავე დროს მიუნხენში მოაწყოს ომში დაღუპულ ბავარიელ გვარდიელთა მოსაგონარი დღე. აკრძალულია როსბახის მიერ მოწვეული „დამკვრელთა“ კრებები და აგრეთვე ის კრებები, რომელიც დანიშნული იყო რესპუბლიკანელთა კავშირის მიერ.

დატუსაღება და ჩხრეკა.

ბერლინი. 30 სექტემბერი. გაჩხრიკეს სოციალ-დემოკრატიულ გაზეთის „მიუნხენერ პოსტ“-ის რედაქციის შენობა. ჩხრეკის მიზეზია—იარაღის ძებნა. შენობა გარშემორტყმული იყო ჯავშნოსნებით.

ამავე მიზნით გაჩხრიკეს მუშათა ბინები. „მიუნსენერ პოსტ“-ი აღნიშნავს, რომ ჩხრეკა ხდება ჰიტლერის მიმდევრების მოთხოვნილებით, რომელნიც მოითხოვენ სოციალ-დემოკრატიულ და კომუნისტურ მეთაურების დატუსაღებას; ისინი ანგარიშს არ უწევენ მათ დეპუტატის სახელწოდებას და მოითხოვენ აგრეთვე სოციალ-დემოკრატიულ და კომუნისტურ პრესის აკრძალვას და სრულს თავისუფლებას ბავარიის ნაციონალისტურ ორგანიზაციებისათვის.

კაპიტულიაციის შემდეგ

იარაღი საფრანგეთისა და კომუნისტების წინააღმდეგ.

ბერლინი. 30 სექტ. ნეიტრალურ დიპლომატების აზრით, გერმანიის მთავრობა არ ფიქრობს სამხედრო მოქმედების დაწყებას ბავარიის წინააღმდეგ, მას განზრახვა აქვს გამოიყენოს ბავარიის დიქტატურა როგორც იარაღი საფრანგეთისა და კომუნისტების წინააღმდეგ. გერმანიის მთავრობა დარწმუნებულია, რომ ბავარიის ამბები შეუძლებელს ხდიან რეინის რესპუბლიკის შექმნას საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ.

კომუნისტების დაპატიმრება ოკუპანტების მიერ.

ბერლინი. 1 ოქტ. დიუსელდორფში საფრანგეთის ხელისუფლებამ დააპატიმრა კომუნისტების ბელადები საოკუპაციო ხელისუფლების საწინააღმდეგო აგიტაციისათვის.

შეტაკება სეპარატისტებთან.

ბერლინი. 1 ოქტომბ. გამბურგში ბრბომ სცადა ხელის შეშლა რეინის სეპარატისტების კრებისათვის. ბელგიის პოლიციამ სროლა აუტეხა ბრბოს. მოკლულია სამი.

საალყო წესები დიუსელდორფში.

ბერლინი. 2 ოქტ. დიუსელდორფში საფრანგეთის ჯარების სარდალმა გამოაცხადა საალყო წესები და დაატუსაღა ზოგიერთი უმაღლესი მოხელეები, რომელთაც ბრალათ ედებათ იმ უწესოებებში მონაწილეობის მიღება, რომელნიც კვირას მოხდა.

ბრძოლა დიუსელდორფში.

ლონდონი. 2 ოქტ. კვირას სეპარატისტებმა დემონსტრაცია გამართეს დიუსელდორფში; ლოზუნგათ ჰქონდათ რეინის დამოუკიდებელ რესპუბლიკის შექმნა. მონაწილეობდა 80,000 კაცი. პოლიცია თავს დაესხა დემონსტრანტებსა და ტყვიისმფრქვევლები აამოქმედა. ბევრი ქალები და ბავშვები იმსხვერპლეს.

გამარჯვებულთა პოზიცია

საფრანგეთი დასამტკიცებელ საბუთებს ელის.

ბორდო. 1 ოქტომბერი. ბუალიოში ძეგლის გახსნაზე წარმოთქმულ სიტყვაში პუანკარემ სხვათაშორის განაცხადა: „იმ დროს, როდესაც ომისაგან დარბეულ ოლქების მოსახლეობა რეპარაციების მოლოდინში იტანჯებოდა, **გერმანიის მთავრობამ 15 დღის განმავლობაში 10 და ნახევარი ტრილიონი მარკა დახარჯა პასიურ წინააღმდეგობის დახმარებისთვის.“ პუანკარეს განცხადებით, საფრანგეთი მოელის გერმანიისაგან წინააღმდეგობის ნამდვილათ შეწყვეტის საბუთებს.** „გერმანია არ უნდა დაკმაყოფილდეს მარტოოდენ დეკლარაციებით: მან საქმეზე უნდა დაამტკიცოს, რომ ის მზათ არის შეუმსუბუქოს მოკავშირეებს გირაოთ აღებულ ოლქების ექსპლოატაცია“.

რაც შეიძლება უკეთ გაძარცვა—ერთად ერთი მიზანია.

ლონდონი. 1 ოქტომბერი. ბირმინგამში წარმოთქმულ სიტყვაში სახელმწიფო სალაროს ლორდმა ჩემბერლენმა ბალდვინისა და პუანკარეს შეხვედრის შესახებ განაცხადა, რომ **ინგლისი და საფრანგეთი ერთნაირ მიზანს ისახავენ: გერმანიის მიერ იმ ვალდებულებათა შესრულებას, რომელიც მას ვერსალის ხელშეკრულებამ დააკისრა.**

უთანხმოება ორ მთავრობის შორის ეხება მხოლოდ რეპარაციის მიღების სხვადასხვა საშუალებებს. ეხლა, როდესაც პასიურ წინააღმდეგობის გაუქმების გამო ახალი მდგომარეობა შეიქმნა—ჩვენ კვლავ გავარჩევთ ამ საკითხს საფრანგეთთან ერთად.

ერთად ერთი ზრახვა.

ლონდონი. 1 ოქტომბერი. გერმანიის ელჩმა კერზონი ინახულა. ამის გამო „დეილი ტელეგრაფი“ სწერს: „უნდა ვიფიქროთ, რომ კერზონმა ურჩია შტრეზემანს ელჩების დანიშვნა პარიზში და ბრიუსელში და მოლაპარაკების დაწყება რაც შეიძლება მალე“.

ამერიკაც აქ არის.

ნაუენი. 1 ოქტომბერი. ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ ფინანსთა უწყების სტატს-სეკრეტარმა ბელონმა განაცხადა, რომ **ამერიკის მთავრობას განზრახული აქვს ხელი შეუწყოს გერმანიის აღორძინებისათვის სესხის გაცემას, როგორცკი გერმანიის კონფლიქტი მოგვარდება.**

მდგომარეობა იაპონიაში

ტოკიოს რაიონში დამშეულთა რიცხვი უდრის 700,000 კაცს; მთავრობამ საალმშენებლო მასალის შესაძენად გადასდო 100 მილიონი იენი.

კორეიაში გადაიქროლა ტაიფუნმა: დაიღუპა 860 კაცი და უგზოუკვლოდ დაიკარგა 1000 კაცი.

იაპონიაში მომხდარ მიწის ძვრის მიერ მიყენებული ზარალი უდრის 150 მილიონ იენს.

იაპონიის ხსნა განიარაღებაშია

ოსაკა. 30 სექტემ. მსხვილ-კაპიტალისტური გაზეთი „დზი-დზი“ მეთაურ წერილში ამტკიცებს, რომ მხოლოდ განიარაღება იხსნის იაპონიას ფინანსიურ გაკოტრებისაგან. გაზეთი აცხადებს, რომ ქვეყნის დაცვისათვის 21 დივიზიის მაგივრათ საკმარისი იქნება 10 დივიზია.

1,200,000 დამშეული

ვლადივოსტოკი. 30 სექტემ. ოფიციალურ ცნობების თანახმად, ტოკიოს რაიონში დამშეულთა რიცხვი უდრის 700,000 კაცს, გარდა 500,000, რომელნიც ქვეყნის შუა გულში გაიგზავნენ. მთავრობამ საალმშენებლო მასალათა შესაძენათ გადასდო 100 მილიონი იენი.

150 მილ. იენის ზარალი

ვლადივოსტოკი. 30 სექტემ. „ისსოშიე ტოდ პრესს“-ის ცნობით, იაპონიაში მომხდარ მიწის ძვრის მიერ მიყენებული ზარალი უდრის 150 მილ. იენს.

თავაშვებულ მებრძოლების დასჯა

ვლადივოსტოკი. 30 სექტ. იტყობინებიან გენერალ ფუკიდის გადადგომის შესახებ, რომელმაც უბრძანა გემ „ლენინს“ დაეტოვებია იოკაგამა. მასთან ერთად დათხოვნილია აგრეთვე ჟანდარმერიის შტაბის უფროსი გენერალი გენზუმი.

სჭირდებათ 5 მილიარდი იენი ოქროთი

ტოკიო. 1 ოქტომ. მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე, შინაგან საქმეთა მინისტრმა გოტომ განაცხადა, რომ იაპონიის აღდგინისათვის საჭიროა 5 მილიარდი იენი ოქროთი.

რევოლიუცია ბულგარეთში

ბრძოლა გრძელდება

ვენა. 30 სექტემ. **სამხრეთ-სლავიის პრესა იტყობინება, რომ ბრძოლა გრძელდება მთელს ბულგარეთში, გარდა ცარიბროდ-სოფიის მიმართულებისა. ხორვატულ გაზეთ „ობზორ“-ის ცნობებით, ბულგარეთში აჯანყებულთა ჯარებს მეთაურობენ კოლაროვი, დიმიტროვი, ტატოვი და პოდპოლკოვნიკი ვოლკოვი. ხმების მიხედვით, დიმიტროვი მოკლულია ბრძოლაში. მთავრობა იტყობინება, რომ აჯანყებულები განდევნილი არიან ფერდინანდოვოდან.**

პოლონეთის ამბები

საგაფიცვო მოძრაობის ტალღა.

ვარშავა. 1 ოქტ. პოლონეთი იმყოფება ახლა საგაფიცვო მოძრაობის წინაშე. გუშინ ვარშავში გაფიცულნი იყვნენ სამი საათის განმავლობაში კომუნალური წარმოებების მუშა-მოსამსახურეები. საღამოს გაიფიცენ სამი დრამატიული თეატრის მსახიობები

პოლონეთის გეგმები არ გამართლდა

ვარშავა. 1 ოქტ. ერთა ლიგაში პოლონეთის დელეგატის სკირმუნტის კანდიდატურა არ გავიდა. მის მაგიერ არჩეულია ჩეხო-სლოვაკიის წარმომადგენელი ბენეში.

კანდიდატი გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე.

ვარშავა. 1 სექტ. ხმების მიხედვით, სეიმის შევებულების შემდეგ არ დაბრუნდება გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე. მის ნაცვლათ კანდიდატათ ასახელებენ დმოვსკის.

აღშფოთებული არიან ასეთი ცინიზმით.

ვარშავა. 1 ოქტ. სახელმწიფო მოხელეების კავშირის ცეკამ მიიღო სასტიკი საპროტესტო რეზოლიუცია არაჩვეულებრივი ცინიზმის წინააღმდეგ, რომლითაც გამსჭვალულია პრემიერის განცხადება.

სხვადასხვა

საბერძნეთი

კომპარტიის ფარული ყრილობა.

ვენა. 1 ოქტ. საბერძნეთის მთავრობის მიერ აკრძალული კომპარტიის საგანგებო ყრილობა არალეგალურად მოხდა, კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის, პარტიულ ორგანიზაციების ზოგიერთ მუშათა კავშირების წარმომადგენელთა მონაწილეობით სათათბირო ხმის უფლებით. ყრილობის თავმჯდომარემ, კომინტერნის წარმომადგენლის მისალმებაზე პასუხის დროს აღნიშნა, რომ საბერძნეთის კომპარტია ერთგულია კომინტერნისა.

საფრანგეთი

„საბჭოთა ხელისუფლებამ მასსაში გამოაღვიძა ინტერესი მეცნიერების მიმართ“.

პარიზი. 1 ოქტომბერი. სენატორი დე-მონზი ერთ-ერთ მორიგ წერილში რუსეთის შესახებ ხაზგასმით აღნიშნავს იმ ინტერესს, რომელიც გამოაღვიძა საბჭოთა ხელისუფლებამ მასსაში, არც ერთი რევოლიუცია არ მოეპყრობია ასეთის პატივისცემით ისტორიულ ნაშთებს, როგორც რუსეთის რევოლიუცია“,—სწერს დემონზი.

რუმინეთი

ფაშისტები თავს არ იმალავენ.

ვენა. 30 ოქტ. ბუქარესტის უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიამ უარჰყო ფაშისტ პროფესორ კუზის წინადადება, რომ უნივერსიტეტში დაეწესებინათ ნორმა ებრაელებისთვისაც,

იტალია

ფაშისტური დღესასწაული.

რომი. 30 სექტ. მუსოლინის განკარგულებით 8 ოქტომბერს [illegible] სასწაულები იქნება ფაშისტურ გადატრიალების წლის თავი.

ამერიკა

„განიარაღება“.

ნიუ-იორკი. 30 სექტ. ერთა ლიგის წინადადების საპასუხოთ იარაღით ვაჭრობის შეზღუდვის შესახებ, ამერიკის მთავრობამ თანხმობა განაცხადა, რადგან წინადადებაში ნაგულისხმევია ის გარემოება, რომ ხელშეკრულების დამდებ მხარეებს უფლება არა აქვთ მიჰყიდონ იარაღი და ყუმბარები იმ სახელმწიფოებს, რომელთაც ხელი არა აქვთ მოწერილი კონვენციაზე: ამრიგათ სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოებს საშუალება არ ექნებათ მიიღონ სამხედრო ტვირთები, რადგან მათ ხელი არა აქვთ მოწერილი კონვენციაზე.

ბრაზილია

ფუჭი იმედი.

ნიუ-იორკი. 30 სექტ. სასულიერო პირთა და მორწმუნეთა კონფერენციაზე ჩრდილოეთ ინდიანაში, ბრაზილიის ეპისკოპოსმა ტირკილმა განაცხადა, რომ შეერთებულ შტატების მთავრობამ ბრაზილიაში გაგზავნა კომისია, რომელიც სამოცდასამი საზღვაო ოფიცრისაგან შესდგება, ბრაზილიის ხელისუფლებასთან სათათბიროდ. ამან გამოიწვია სამხრეთ-ამერიკის სახელმწიფოების სამხედრო და საზღვაო შეჯიბრება, იმის მაგივრათ, რომ დახმარება გაეწიათ ბრაზილიისათვის ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავებასა და სკოლებისა და რკინის გზების აშენებაში. ეპისკოპოზს იმედი აქვს, რომ ამერიკის მთავრობა განიარაღების მაგალითს მისცემს სხვებს და გაიყვანს მექსიკის საზღვრებიდან თავის ჯარს.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

პოლონელი მუშები რევოლიუციონერდებიან.

კოვნო. 29 სექტემბერი. ლატვიის გაზეთი „აიტას“-ი აღნიშნავს, რომ პოლონეთის მუშათა მასები თანდათან რევოლიუციონერდებიან. გაზეთი სწერს:

მიუხედავათ თავისი პატრიოტობისა, პოლონეთის მუშები, სიღატაკის გავლენით, აღშფოთების გზას ადგებიან. ლოძსა, ჩენსტოხოვოსა და ბელსკში გაფიცულ მუშათა რიცხვი ასიათასობით ითვლება. იფიცებიან ის მუშებიც, რომლებიც 1920 წელს ბოლშევიკების წინააღმდეგ იბრძოდნენ.

პოლონეთის მთავრობამ იცის ეს გარემოება, მაგრამ მაინც ბოლშევიკებსა და ებრაელებს სდებს ბრალსა. აგრეთვე გერმანელებიც არიან გამოცხადებულნი მღელვარების მიზეზად.

მარტი შევიდა კომპარტიაში.

პარიზი. 28 სექტემბერი. თავის წერილში, რომელიც მიმართულია საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივნისადმი, მარტი აცხადებს, რომ ის შევიდა კომპარტიის პერპინის ორგანიზაციაში და აღნიშნავს, რომ ციხეში ყოფნის დროს ის მოუწოდებდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რათა ის მიმხრობოდა კომინტერნს.

უცხოეთის ცხოვრება

საფრანგეთის ბანკირები ჩინეთში.

პარიზი. ამ უკანასკნელ დროს დიდი დავა სწარმოებს ჩინეთში არსებულ საფრანგეთის სამრეწველო ბანკსა და ჩინეთის ბანკირების ასოციაციას შორის. უკანასკნელებმა, მას შემდეგ, როცა საფრანგეთის ბანკს კრახი მოუვიდა, მისცეს უკასასკნელს ავანსათ 2,000,000. დოლარი ამ ბანკის ნაღდ ვალდებულებებზე გადაცვლის გზით. როდესაც საფრანგეთის ბანკმა კვლავ დაიწყო მუშაობა პეკინში ამა წლის თებერვალში, ბანკირებმა მიმართეს მას თხოვნით დაებრუნებია მათთვის ეს თანხა, მაგრამ ბანკი ამას სულ აჭიანურებდა და უპასუხებდა, რომ ამ საკითხის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა გადაიჭრება საკითხი „ოქროს ფრანკების“ შესახებ. საკითხი ოქროს ფრანკების შესახებ მდგომარეობს იმაში, რომ საფრანგეთის მევახშეები მოითხოვენ ჩინეთის მთავრობისაგან, რათა მან გადაუხადოს მათ „ბოქსერის“ ჯილდოს მათი კუთვნილი ნაწილი არა ქაღალდის ფრანკებით, არამედ ოქროთი, რაც დიდ განსხვავებას წარმოადგენს ისედაც გაღარიბებულ პეკინის მთავრობისათვის. ეს საკითხი დღემდე არ გადაიჭროდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩჟან-შაო-ცზენის კაბინეტმა გადასჭრა ეს საკითხი საფრანგეთის მევახშეებისათვის ხელსაყრელ პირობებში. მაგრამ ეს პარლამენტმა ვერ დაამტკიცა, რადგანაც მთელს მხარეში გაისმა პროტესტი საფრანგეთის მოთხოვნილების წინააღმდეგ.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთში.

კინო ფილმა „სასახლე და სიმაგრე“.

მოსკოვი. 1 ოქტ. ზამთრის სასახლეში კინემატოგრაფი სურათებს იღებს, რომელიც მზადდება ოქტომბრის რევოლიუციის წლის თავისთვის, კინო-პიესისათვის „სასახლე და სიმაგრე“. მზადდება კინო-სურათები იუდენიჩის შემოტევისა პეტროგრადზე. ეს კინო-პიესა თავისი სიფართით, მონაწილეთა სიმრავლით და გრანდიოზულობით იშვიათი სანახავია მთელი რუსეთისათვის.

შვეცია-სპარსეთს შუა საჰაერო მიმოსვლა.

პეტროგრადი. 1 ოქტ „იუნკერს“-სის საზოგადოების გამგეობამ მოაწყო საჰაერო მიმოსვლა შვეცია-სპარსეთს შორის, სტოკჰოლმისა, პეტროგრადისა და მოსკოვის გზით.

თვითლიკვიდაცია ესერებისა

ტულა. 1 ოქტ. ესერების საგუბერნიო ყრილობა შეუერთდა სრულიად რუსეთის ესერთა ყრილობის რეზოლიუციას და გადასწყვიტა, გააუქმოს ტულის ორგანიზაცია. მისალმების დეპეშები გაეგზავნა ლენინს, ტროცკის, კომინტერნს და ტულის საგუბერნიო კომიტეტს.

ახალი ფულის ნიშანი.

მოსკოვი. 1 ოქტ. გამოცხადდა საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება 1923 წლის ნიმუშის 5.000 მანათიან ფულის ნიშნის გამოცემის შესახებ.



ამხ. ბარტცი.

გერმანიის რეიხსტაგის კომუნისტური ფრაქციის პრეზიდიუმის

პარტიული ცხოვრება

იუსტიციის სახალხო კომისარიატის იაჩეიკაში

28 სექტემბერს შესდგა იაჩეიკის კრება. პირველი მოხსენება გააკეთა ამხ. ა. ტერ-არიუტინოვმა, რომელმაც გააცნო კრებას სისხლის სამართლის კანონი საბჭოთა რესპუბლიკებისა და მისი მნიშვნელობა. საჰაერო ფლოტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გაბუნიამ, რომელმაც ამხანაგებს მნიშვნელობა ფლ კრებამ ერთხმად დაადგინა ჩ საჰაერო ფლოტის წევრად აცნოს აგრეთვე უპარტიო მნიშვნელობა საჰაერო ფლოტის დღ გაირჩა მიმდინარე საკი

მუშ. ა.

თბილისის ალმასკომის კომუჯრედში

28 სექტემბერს შესდგა ალმასკომის კომუჯრედის კრება ამხ. ფიალკოვსკიმ გააკეთა მოხსენება ღირებულების თეორიაზე.

მომხსენებელმა დაწვრილებით გააცნო დამსწრეთ ამ თეორიის შინაარსი, რის შემდეგ მას მისცეს შეკითხვები, რაზედაც ამხანაგებმა მიიღეს სრულიად დამაკმაყოფილებელი პასუხები.

გამოსაცდელ „ვაპრონსიკი“დან წაკითხული იქმნა ერთი ნაწილი და ყოველ კითხვებზე უპასუხებდნენ დამსწრენი.

„მიმდინარე საკითხებიდან“—პირველათ დამტკიცებული იქმნა კომუჯრედის ბიუროს დადგენილება წალკისის თემზე შეფობის შესახებ 1) ალმასკომის კომუჯრედის წევრების მიერ გადადებული იქმნას თითო დღიური ჯამაგირი შეფობ დის გასაძლიერებლათ 2) ამ უნდა მოეწყოს სპექტაკლ-კონ ბი. 3) აღნიშნულ თემს უნდა მატიურათ ეგზავნებოდეს გ აგრეთვე ეგზავნებოდეს პოლ რი და ლიტერატურული ბრ 4) ზემოაღნიშნული თემი ხებზე იაჩეიკამ იკისრა აგრ თემის გლეხების იურიდიული რება. 5) შეძლებისდაგვარ დაეხმარება სამეურნეო იარაღ

წალკის თემში გასაგზავნათ იმნა სამი ამხანაგი: 1. მ. ჯ 2. დემუროვი. 3. ცარ და ამავე იაჩეიკის ქართულ მუშკორათ არჩეულ იქნა ამხ. მიმდინარე საკითხად დასმულ თბ. კომიტეტის ცირკულიარ

მუშ-კორი ლომი

ზომლეთის თემი (გურია)

თემში არსებობს იაჩეიკები. მათში ითვლება საკმაო რიცხვი წევრების და კანდიდატებისა, მაგრამ კრებების მოწვევა ამ უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად მინელებულია. არ სწარმოებს პოლიტიკური მეცადინეობანი სათანადო ტემპით და სხვა. ეს თემი მიწერილია ნაგომრის რაიონზე, მაგრამ ამ რაიონის პასუხისმგებელი მდივანი ან სულ არ დადის, მოდის მხოლოდ ამბავის საკ საჭიროა მისი მხრით მეტი დების მიქცევა და სათანადო რი ხელმძღვანელობის გაწევ კუთრებით იმ თემებში, სადა ტიული ძალები მოისუსტებ საც, იმედია, ჟღეროვან ყურ მიაქცევს ის აწი მაინც.

მეხილეთა ყრილობის შესახე

ყველამ კარგათ ვიცით, რომ გორის მაზრა განთქმულია ხილით. ნახევარი მაზრის მოსახლეობისა მისდევს მეხილეობას და ბაღების გაშენებას. განსაკუთრებით მეხილეობაში განთქმულია მდინარე ლიახვის ორივე ნაპირას მდებარე სოფლები.

თუ თვალს გადავავლებთ საერთო მდგომარეობას მეხილეობისას, დავინახავთ, რომ ხელიდან გვეცლება ეს სიმდიდრე. ჯერ იყო და იმპერიალისტურმა ომმა შეუშალა ხელი ბაღების მოვლა-მოშენებას, მერე დიდმა რევოლიუციამ, წამლების უქონლობამ და სხ. ასე რომ დღესდღეობით მთელი ჩვენი ბაღები, მცირედი გამონაკლისით, დაავადმყოფებულია და ადგია გავერანების გზას. ყველა ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ განვლილი სიმშილით დაშინებულმა გლეხობამ ნაკლები ყურადღება მიაქცია თავის ბაღ-ვენახებს და ლამობდა მათ სახნავად გადაქცევას: „უვაშლოთ კი გავძლებ, შენი ჭირიმე, და უპუროდ კი ვერა“,—გაიგონებდით აქამდე გლეხებისაგან.

ამ რაიონში არა გვაქვს არც ერთი სანერგე, და დაბერეებული ბაღის გადახალისება შეუძლებელი ხდება. დღემდის არ არის დაარსებული არც ერთი საცდელი პომოლოგიური სადგური. ეს უძლიერესი დარგი სასოფლო მეურნეობისა — მეხილეობა, მიტოვებულია „ღვთის ანაბარათ“ გორის მაზრაში.

მაზრის აგრონ. ქვე-განყ. მიაქცია ყურადღება ამ არა-სასურველ მოვლენას და გადასდგა კიდეც პრაქტიკული ნაბიჯები. ეს გამოიხატა იმაში, რომ მან აღძრა შუამდგომლობა ალმასკომის წინაშე გორის მაზრის მეხილეთა ყრილობის მოწვევაზე.

ალმასკომმა სიამოვნებით გამოაცხადა თანხმობა მეხილეთა ყრილობის მოწვევაზე და დახმარებაც აღუთქვა, მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა ამ ყრილობით დაინტერესდნენ კოოპერატიული ორგანი თვით მიწ. მოქმ. სახალ რიატიც.

[illegible] ნიმე მეხილეთა საზოგ მელნიც, დარწმუნებული ლებენ ამა ყრილობის მოწვე რეალე მონაწილეობას თავიანთ წვლილს.

აქ გადასწყდება ბევრი მნიშვნელოვანი საკითხები; თვალისწინებთ მომავალ გზს და უფრო ფრთხილად ნაზად მოვეპყრობით იმ სოფლო მეურნეობისას, შეგვიძლიან ავაყვავოთ და გ ბესოთ გლეხის ცხოვრება.

თუ რა უსისტემოთ ხდება მისი წლის ნაშრომ-ნაოფლარ ლიზაცია, მე მოვიყვან შემდ რებს: ომამდე, საშუალო ღირდა ბაზარზე ადგილობრ ერთი მანეთი. ამ ერთი ფუ გატანა კი ტფილისამდე საშუალოდ 8 კაპიკ. ახლა შედარებით ვიანგარიშებ ხილი ღირს საშუალოდ 20 ამ ერთი ფუთი ხილის გა ლისამდე ჯდება 16 კაპ!

ასეთი მდგომარეობა გამოსწორებას იმ მხრივ, ლი ხელში არ იგდონ ჩარ მეხილეთა ყრილობა ფართოეთ გაშუქდება

მევენახეობის დარგში ლობები უკვე ბევრგან კახეთში, ზესტაფონში დარგში ჯერ ჩამი-ჩუმი არ მედოვნებთ, რომ მიწ.-მოქმ. მისარიატი გვიხელმძღვანელ გაგვიწევს შესაფერ დახმა გამოგვიგზავნის მეხილეობა ლოვნებულ სპეცს, ყრილობა ერთ წამოჭრილ საკითხებ წყვეტაში მონაწილეობის მი

მ. მეხრ

სრულიად საქართველოს კომუნალ მეურნეობის განყოფილებათა გამ ბის მე-2-ე ყრილობა

მოხსენებები ადგილებიდან.

28 სექტემბრის დილის სხდომაზე გრძელდება მოხსენებები ადგილებიდან

რაჭის მაზრის წარმომადგენელი ამხ. ენუქიძე აღნიშნავს განყოფილების მუშაობას და დამოკიდებულებას ალმასკომთან.

განყოფილების უმთავრესი მუშაობა მიმართული ყოფილა გასული წლის უდიდესი ნიაღვრებით განადგურებული გზებისა და ხიდების აღდგინისაკენ, მას გაუყვანია აგრეთვე ახალი სათემო, სასოფლო გზებიც.

უმთავრესად შეკეთებულია შემდეგი გზები: სამხრეთ-ოსეთის შარაგზა, ნაქერალას შარაგზა, რომელიც ახლა გაჰყავთ, შაიროს გზა (ხარისთვალიდან სხვავისაკენ), მდინარე რიონზე გაკეთებულა შვიდი ხიდი.

გაყვანილი არის წყალსადენი-არხი ორი ვერსის მანძილზე სოფ. ჩიხვაში, შეკეთებულ იქნა აბანოები და [illegible]

წყლები, თორმეტ თემში გა არის სათემო გზები.

განზრახული ჰქონიათ ჰიდ სადგურის აშენება, რომელი ბა 300.000 მანეთი ოქროთი წარი მუშაობა უკვე სწარმო ნაიდან აღნიშნული სადგური მარტო ადგილობრივ საშუ შეუძლებელი არის, ამიტომ ლია შუამდგომლობა ცენტრ ში სათანადო თანხის გამ მად.

განყოფილების ყოფილა მხოლოდ ამ ქარხანა.

მიწათ-მ ყოფილებ დაცუმული „მიწადა

ქ. „კომუნისტის" კანტორა გადავიდა „კომუნისტის" შენობაში,

რუსთაველის პრ. № 24, მეორე სართული.

მეულებებს, თითეულ სულზე დაახლოებით 15 კვ. არშ., ორმაზე ნაკლებია და ამიტომ ონი განიცდის დიდ საბინაო ს.

ვითარი ცეცხლმქრობი იარა- მაზრაში არ მოიპოვება.

სამსახურეთა მდგომარეობა ცუდია.

ვიდა შეკითხვები, რომლებზე- მომხსენებელმა გასცა პასუხი.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს ნის (ქ. ჭიათურის) მაზრის კო- ურ განყოფილების დელეგატი რუხაძე.

ნიშნავს, რომ კომუნალურ გან- ლების მუშაობა ვრცელდება მაზრის ფარგლებში. გარდა ქ. რისა კომუნალური განყოფი- არსებობს ქ. ზესტაფონში.

ნალურ განყოფილების განკარ- ში არის შემდეგი წარმოება- ადგური, წისქვილი და აბა- შორის წისქვილი გაჩერებუ- ა, ვინაიდან საამისო ენერგია ენის.

აში უმთავრესად ბანაობენ მუ- ამისათვის საფასურს იხდიან ებლები. ქ. ზესტაფონიდან სა- ადმინისტრატიულ ცენტრის ათურაში გადატანით და, მეორე ჭიათურის შავი ქვის მუშაო- აწყებით ძლიერ გამწვავებულა ო კრიზისი.

ციპალიზაციაქმნილ სახლების ვი არის 10, საბჭოთა ორგანიზაციებს დაკავებული აქვს 7 შენობა.

სათანადო ნაბიჯი გადადგმულა ქ. ზესტაფონის და ქ. ჭიათურის გამშვენიერებისა და კეთილმოწყობაზე.

ქ. ზესტაფონში მოხდენილი არის მიწის აღწერა და 20 პროც. გაცემულია იჯარით. შემოღებულია ყველა ადგილობრივ გადასახადები, რომელიც გათვალისწინებული არის 2 აპრილის დეკრეტით. ამას გარდა არის შემოღებული საფუთო გადასახადი ქ. ჭიათურიდან გატანილ შავ ქვაზე.

გასული წლის წყალდიდობამ ძლიერ დააზარალა ნაპირები და მიღებულია ზომები მის შესაკეთებლად.

ამის შემდეგ მოხსენებას აკეთებს ქ. ახალციხის დელეგატი ამხ. გაბიჩვაძე.

მომხსენებელმა დასაწყისში აღნიშნა ის უბედურება, რომელიც გადაიტანია იმპერიალისტურ ომის დროს ქ. ახალციხეს, ხშირი დაცემით თათრების მხრივ და სხვა.

საერთოდ კომუნალურ განყოფილების მუშაობა ვერ ყოფილა ნაყოფიერი. მის განკარგულებაში ყოფილა: სტამბა, სასაკლაო, ქალაქის 3 სასწორი, ხე-ტყის ქარხანა და აგრეთვე მუნიციპალიზაციაქმნილი სახლები, 120 სავაჭრო და სახელოსნო, აგრეთვე ყაზარმები. აღნიშნულ შენობებიდან 26 საუკეთესო სახლი უჭირავს საბჭოთა დაწესებულებებს.

ახალციხეში სწარმოებს უძრავ ქონებათა შეფასება. შემოღებულია სხვა გადასახადებიც.

-კავკასიის საბაჟო სამმართველოში

ული წლის სექტემბერში მოხდა -კავკასიის საბაჟოების შეერთე ა დაარსდა ცენტრალური ორ- „ამიერ-კავკასიის საბაჟო სამ- ველოს" სახელწოდებით. ამ სამ- ველოში მსახურობს, სხვათა შორ- „სპეცი" მოქ. ალექსი პავლეს ებედევი, რომელმაც მთელი თა- სიცოცხლე ნიკოლოზის დროს კოებში სამსახურში გაატარა და „გულით" სამსახურისათვის „გე- ლის" ხარისხიც დაიმსახურა. 1917 ს რევოლიუციის შემდეგ ის ცო- ანს შერჩა თავის თანამდებობას შემდეგ დათხოვნილ იქნა სამსა- იდან ისე, როგორც სხვა კონტრ- ოლიუციონერი, ძველი რეჟიმის რფიალე. ხოლო 1918 წ. წავიდა ის საცდელათ აზერბეიჯანში— ოში. მაგრამ აზერბეიჯანში საბ- ა ხელისუფლების დამყარებისთა- ს იქიდანაც გამოძევებულ იქნა. ემდეგ რაღაც მანქანებით იქნა აწნული ამიერ-კავკასიის საბაჟო ართველოს უფროსის მოადგი- თ. ამგვარად ამ მსხვილმა ბიუ- რატ მა კვლავ მოიკალათა საბჭო- ის რესპუბლიკის უმნიშვნელოვანეს სამოსავლის მხრივ ერთ უპირვე- წყობაში.

მინდა მოვიყვანო რამოდენიმე არა, მაგრამ მისი მუშაობის და- ასიათებელი მაგალითი.

აჟო ტარიფი შედგენილია ოქ- ანგარიშით და ყველა საბაჟო სახადების გამოანგარიშება ხდე- ოქროს კურსის მიხედვით, თვეში ჯერ, რის შესახებაც განკარგუ- ბა ეგზავნება დეპეშით საბაჟოებს. მაშინ, როცა საქართველოს გარა- ს კუთხეები ამ განკარგულების სახებ დეპეშებს გამოცემისთანავე ბულობენ, ტფილისის საბაჟო, მელიც სამმართველოსთან ერთად ს შენობაშია მოთავსებული, კარგულებებს ღებულობს ჩვეუ- რივ 3—4 დღის დაგვიანებით 22 წლის 11 ენკენისთვეს გამო- ემული განკარგულება ტფილისის სა- ჟომ 14 დეკემბერს მიიღო, ასეთს ვლენას ჰქონდა ადგილი ამა წლის ნვარსა თუ თებერვალში).

ხსენებული ლებედევი ა. | წ. 5 ბერვალს სცემს 712 ნომრით სა- ჟოებისადმი განკარგულებას, რათა უკანასკნელებმა მიიღონ ხოლმე უსაზღვრელ რაოდენობით საბა- გადასახადებში ჩერვონცები სა ის ოქროს კურსის მიხედვით, უცილებლად საჭირო იყო ახლად ოღებულ წესის განმარტება, რომ რაიმე გაუგებრობა, არევ-დარევა გამოეწვია საბაჟოებში და არ ქმნა ნიადაგი რაიმე ბოროტ-მო- დებისათვის. ლებედევმა ეს არ მოქმედა და ამას მოჰყვა შედე- ი გარემოება, რომ იმსხვერპლა მოდენიმე საბაჟოს თანამშრომე- ი. მხოლოდ ამის შემდეგ, 15 ივ- ისის თარიღით და 8 | 4023 ნომ- ით იქნა საბაჟო სამმართველოს მი- ერ გამოცემული განმარტება, თუ როგორ უნდა იყოს საბაჟოების მიერ ღებული ჩერვონცები, ჩაწერილნი ბუთებში და ჩაბარებულნი ხაზინებში; პირველი განკარგულების გამოცემის (5 თებერვ.) მეხუთე თვეზე ითქვა ის, რაც უნდა თქმულიყო თავდაპირველადვე.

ხოლო ტფილისის საბაჟომ ლებედევისგან 15 გამოცემული ივნისის განკარგულება მიიღო 22 ივნისს, ე. ი. ზემოსართულიდან ქვემოსართულში ასეთი საჭირო განმარტების გადმოცემას დასჭირდა ერთი კვირა. ეს უკვე იგრ. წოდებ. კანცელარიული უბრალო „ვოლოკიტა" აღარ არის, არამედ უფრო მეტი, ვიდრე შემფერხებელი საქმის ნორმალური მსვლელობისა.

ვიდრე განმარტებითი ზემოხსენებული განკარგულება გაიცემოდა, სამმართველო სცემს მაისის თარიღით და 3215 ნომრით საქართველოს რაიონის საბაჟო ინსპექტორისადმი (რომელიც ბათომში სცხოვრობს) ტელეგრაფულ განკარგულებას, რათა ამ უკანასკნელმა მოახდინოს საქართველოს საბაჟოებისადმი განკარგულება, რომ საბაჟოებმა შეიტანონ ხოლმე ხაზინებში სხვა სახელმწიფო შემოსავლებთან ერთად ის 2 და 3 პროცენტებიც, რომლებსაც საბაჟოები ახდევინებდნენ ხოლმე საქონლის პატრონებს. ეს განკარგულება ტფილისის საბაჟომ მიიღო ინსპექტორისაგან 29 მაისს და ვინაიდან ის (განკ.) არაფერს ამბობდა: 1) რომელი რიცხვიდან შეტანილიყო პროცენტები ხაზინაში, 2) რა უნდა ექნა საბაჟოს ნაშთისათვის; 3) არ იყო ნახსენები თუ ისინი (პროც.) სახელმწიფო შემოსავლის რომელ პარაგრაფში და მუხლში უნდა შეტანილიყო; ამან საბაჟოს ანგარიშებში ერთგვარი არევ-დარევა გამოიწვია, რადგანაც თვის ბოლო იყო და ამას გარდა საბაჟოს ადმინისტრაციას პასუხის მიცემამაც უხდება ინსპექციისადმი ფულების დაგვიანებით ხაზინაში შეტანისათვის.

ამ ფაქტიდან ლებედევის ბიუროკრატობის დამახასიათებელია ისიც, რომ ის ამ განკარგულებას პროცენტების ხაზინაში შეტანის შესახებ იქვე კი არ უგზავნის უშუალოდ თბილისის საბაჟოს, რომელიც მასთან ერთად არის მოთავსებული ერთ შენობაში, არამედ უგზავნის ბათომში ინსპექტორს და ავალებს მას იქიდან გამოუგზავნოს ხსენებული განკარგულება მას—ტფილისის საბაჟოს—და ეს უკანასკნელიც იღებს ამ განკარგულებას მისი გამოცემის მეოცე დღეს ე. ი. 29 მაისს, მაშინ კი როდესაც შეიძლებოდა მისი ტფილისის საბაჟოსადმი გადაცემა მისი გამოცემის დღესვე, ცხრა ან ათ მაისს.

დასასრულ, მინდა შევეკითხო მოქ. ლებედევს, თუ რა უყო მან იმ ოცდა ოთხი მილიონი მანეთს, რომელიც მიიღო საბაჟო სამმართველოდან გასული წლის დეკემბრის ბოლოში უნივერსიტეტის ასისტენტის აკაკი ნაფეტვარიძის დამარხვაზე დასახმარებლად და შესაწევად და რომელიც მას მაშინ დანიშნულებისამებრ არ გადაუცია და არც მოუხმარია.

„ლიმაშ".

-კავ. საქონლის-საფონდო ბირჟების წარმომადგენელთა კონფერენცია

(მესამე სხდომა)

კამათი ამხ. ფილზერის მოხსენების გარშემო

ფილზერის მოხსენების გამო კამათს ნის ამხ. საფარიანი, რომელიც ხადებს, რომ თუ ჩერვონცების ერ- იანი კურსის დაწესების საქმეში ხელმწიფო ბანკი მისი განყოფილე- ბით პროვინციაში მიიღებს უფრო ტიურ და რეალურ მონაწილეობას, მაშინ ჩვენ პროვინციალურ ქალაქე- ის ბირჟების საფონდო განყოფილე- ბი იქნებიან სახ. ბანკის ღონისძიე- ბათა გამტარებელნი ჩერვონცების ამტკიცების საქმეში. ამიტომ ეხლა კითხის დაყენება პროვინციალურ ფონდო განყოფილებათა გაუქმე- ის შესახებ, როგორც ამხ. ფილზერი ობს, ნაადრევია.

ეხება რა შემდეგ ბირჟის და სა- რედიტო დაწესებულებათა ურთი- თობის საკითხს, ამხ. საფარიანი ილაშქრებს ამხ. ფილზერის დებულების წინააღმდეგ, რომ ბირჟა არის მხოლოდ ადგილი, სადაც თავს იყრის ავტომატიურად და სტიქიურად მოთხოვნილება და მიწოდება. ბირჟის ხელმძღვანელი ორგანოები კი არიან მხოლოდ მოწმენი,—ამტკიცებს, რომ ბირჟა არის რეალური ძალა, რომელსაც არ შეუძლია გულგრილად უცქიროს იმას, თუ რა ხდება. სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ვალიუტის საკითხში ტარდება ბირჟის და სახ. ბანკის მიერ., აქ ერთმანერთს ეხება ბირჟის და სახ. ბანკის მოქმედება, მაგრამ იმისათვის, რომ ბირჟას შეეძლოს წარმატებით თავისი ფუნქციების შესრულება, საჭიროა, რომ ის სარგებლობდეს სახ. ბანკის სრული დახმარებით. ამას სინამდვილეშიც აქვს ადგილი ჩვენში, მაგ. დეკემბერში და მეორეჯერ აპრილში მომხდარ პანიკის დროს ოქროს 10 მან. გარშემო.

შემდეგ საჭიროა, რათა სახ. ბანკმა მცირეოდენის გამოკლებით, გაატაროს თავისი სავალიუტო ოპერაციები ბირჟის საშუალებით, ვინაიდან თუ ბირჟაზე იწარმოებს ერთი ოპერაცია, სახ. ბანკში კი მეორე, მაშინ შეიქმნება ისეთი მდგომარეობა, რომ ბირჟაში არ იქნება თავმოყრილი მოთხოვნილება და მიწოდება, რადგან ვალიუტის ის ნაწილი, რომელიც გადის სახ. ბანკიდან, არ იქნება მიღებული მხედველობაში საბოლოო კურსის შედგენის დროს, რომელიც არის სავალდებულო მთელი საქონლის ბრუნვისათვის, რაც ხდება ჩერვონცებით, ან მტკიცე ვალიუტით.

საერთოდ სახ. ბანკს თავის მძლავრი ორგანიზაციით და დიდი რესურსებით შეუძლია აქტიური გავლენა იქონიოს ბირჟაზე, თავიდან ააშოროს მას კრიზისები, ჩერვონცების უფრო თანასწორზომიერათ გავრცელების გზით და ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე სხვა საბანკო ოპერაციების საშუალებით.

ამხ. ავერბახი ამტკიცებს, რომ სახელმწიფო ბანკს, რომელიც არის ბირჟის წევრი, უნდა ჰქონდეს თავისი ვალდებულებანიც. რამდენადაც სახ. ბანკი და ბირჟა ატარებენ ერთიან სახელმწიფოებრივ პოლიტიკას კურსის დაწესებაში განსხვავება სრულიად დაუშვებელია. თუმცა ბანკისათვის შესაძლებელია არ იყოს ხელსაყრელი ამ კურსით გაყიდვა, მაგრამ მეორეს მხრივ სამეურნეო ორგანოებისათვის არ არის ხელსაყრელი იყიდონ ვალიუტა კურსზე უფრო მაღალ ფასებში. ეს მსხვერპლია, და იგი სავალდებულოც არის. ამიტომ ბირჟის კურსი ბანკისათვის უნდა იყოს სავალდებულო ბირჟის შემდეგ კრებამდე.

ამხ. ჩილინგარიანი ამბობს, რომ ამიერ-კავკასიის ბირჟა უნდა წარმოადგენდეს მოთხოვნილებას და მიწოდების მთავარ ადგილს, იგი უნდა თამაშობდეს არა მარტო ზედამხედველობით როლს, არამედ კიდეც უნდა იყოს ისეთი ორგანო, რომელიც უნდა გამოხატავდეს სავაჭრო-სამრეწველო ცხოვრების საერთო მდგომარეობას.

რამდენადაც ბირჟის და სახ. ბანკის ამოცანები ერთმანეთს უთანხმდებიან, იმდენად მათ შორის უნდა იყოს მჭიდრო კონტაქტი.

ამხ. განჩაროვი აღნიშნავს, რომ, როდესაც მომხსენებელი ფილზერი ლაპარაკობდა ბირჟის არსებით მნიშვნელობაზე, არ აღნიშნა თუ რა ურთიერთობა უნდა იყოს სახელმწიფო ბანკსა და საქონლის განყოფილებას შორის, ამ მხრივ, ალბათ, ბანკს არ აქვს განსაზღვრული თვალსაზრისი, როგორც მოხსენებიდან სჩანს.

ამხ. ჩხენკელი ფიქრობს, რომ მოხსენებლის აზრი იმის შესახებ, რომ საჭიროა ბირჟის განთავისუფლება სავალიუტო ოპერაციებისაგანო, არ არის სწორი. რომ ეს ასე ყოფილიყო, მაშინ ბირჟა არასოდეს არ იარსებებდა და თუ იარსებებდა, მას არ ექნებოდა არავითარი მნიშვნელობა.

შემდეგ ეხება რა ურთიერთობას სახ. ბანკსა და ბირჟის შორის, ამხ. ჩხენკელი აღნიშნავს იმ მოვლენას, რომ ზოგჯერ ბანკის მოქმედება გამოიხატება ამა თუ იმ საკითხების არა სისწორით გადაჭრაში. იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ბანკი იმის მაგიერ, რომ გავლენა მოეხდინა კურსის დაწევაზე და ამით დაეშმვიდებია ფულის ბაზარი,—ასეთ მომენტში სახ. ბანკი იღებდა ძალიან მცირე მონაწილეობას და . ეს მონაწილეობა კიდევ უფრო ართულებდა მდგომარეობას (მოჰყავს მაგალითები) საჭიროა, რათა სახ. ბანკმა ყველა თავისი ოპერაციები აწარმოოს ბირჟაზე, და არ დააწესოს თავის მუშტრებისათვის საკუთარი კურსი. ეს შეიტანდა გართულებას ჩვენს სამეურნეო ცხოვრებაში.

ამხ. ნიკოლაევი. სახ. ბანკის სახელით გაუგებრათ სთვლის იმ თავდასხმებს, რომელსაც სახ. ბანკზე ახდენენ. ის კატეგორიულად ამტკიცებს, რომ სახ. ბანკი ყველა ოპერაციებს ბარჟაზე აწარმოებს. აგრეთვე არ არის სწორი ის განცხადება, თითქოს ბანკი მოქმედებდეს საკუთარი კურსით და არა ბირჟის მიერ დაწესებულ კურსით. თუმცა დეკრეტით ბანკს აქვს უფლება იხელმძღვანელოს გარდა ოფიციალურ ბირჟის მიერ დაწესებულ კურსისა, კიდევ სხვა კურსით, მაგრამ იგი ამ უფლებით არ სარგებლობს. ბირჟის ახალ კრების დაწყებამდე სახელმწიფო ბანკი ხელმძღვანელობს წინა დღის კურსით. სახელმწიფო ბანკი ზარალობდა ჩერვონცების გაყიდვის დროს, იმიტომ რომ უკან მას აღარ უბრუნდებოდა არც ერთი ჩერვონეცი, მაგრამ ის მაინც უშვებდა 5—6 ათასს. არც ერთმა კოოპერატიულმა და სახელმწიფოებრივმა დაწესებულებამ, რომელთაც სახელმწიფო ბანკიდან მიიღეს ჩერვონცები, უკან აღარ დააბრუნეს იგი. მხოლოდ უკანასკნელ ხანებში სახ. ბანკი იძულებული იყო ყოველთვის არ დაეკმაყოფილებია ის მოთხოვნილება, რომელსაც მას უდგენდენ.

საბოლოო სიტყვაში ამხ. ფილზერი იცავს რა თავის შეხედულებას, უპასუხებს თავის ოპონენტებს.

ეკონომიური ცხოვრება

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სავაჭრო მუშაობა.

ს. მ. უ. ს. უშუალო კომერციულ ორგანოს წარმოადგენს ცენტრალური სავაჭრო სამმართველო, რომლის ამოცანას შეადგენს საჭირო ნედლი მასალის დამზადება საწარმოვო განყოფილებათა და ტრესტებისათვის, ამ ტრესტების პროდუქციის გაყიდვა როგორც ცენტრში ისე, პროვინციებში პროვინციებში არსებულ განყოფილებების საშუალებით.

სავაჭრო სამმართველოს აქვს ექვსი მაღაზია ტფილისში და ბაზსაწყობები პროვინციებში.

ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოს ოპერაციები, როგორც თვიური ანგარიშის ციფრობრივი ცნობებიდან სჩანს, თანდათან ფართოვდება რესპუბლიკის საზღვრების გარეშე მდებარე რაიონებშიაც. მაგალითად, არსებობს წარმომადგენლობა აზერბეიჯანში და აჭარაში, ეწყობა განყოფილება სომხეთში. საქონლის შემოსავალი ყველა მაღაზიებში აგვისტოს განმავლობაში უდრიდა 203,726 ჩერ. მანეთს, რაც 3 ნახევარჯერ აღემატება მიმდინარე წლის იანვარში მიღებულ შემოსავალს. ამავე თვის განმავლობაში გაშვებული იყო მაღაზიებიდან საქონელი 145,433 ჩერ. მანეთის ღირებულების, ორჯერ მეტი, ვინემ იანვარში. ბაზსაწყობების ბრუნვა კი გამოიხატა 64,384 მანეთში.

თამბაქოს ტრესტის მთელი პროდუქცია აგვისტოს თვიდან შემოდის გასასაღებლათ ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოში, რომელიც ნაწილს ასაღებს ტფილისში საკუთარი მაღაზიების საშუალებით, ნაწილსაც კი გზავნის ბაქოში. ამიტომ აგვისტოში მაღაზიებში შემოსული საქონლის მეტ ნაწილს შეადგენს თამბაქოს ნაწარმოები (დაახლოვებით 75 პროც.) დანარჩენ საქონელს შეადგენს ერბოს და საპნის ტრესტის და ღვინის ტრესტის პროდუქცია, ტყავეულობის ნაწარმოები და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ სავაჭრო სამმართველოს კავშირი კოოპერაციასთან და პროვინციის აღმასკომებთან ძლიერ სუსტია როგორც გაყიდვის, ისე საქონლის შეძენის მხრივ. საშუალოთ კოოპერატიული ორგანიზაციების საშუალებით იანვრიდან შეძენილია ყველა საქონლის მხოლოდ 4 პროცენტი. საქონლის მთავარ მიმწოდებლებათ გამოდიან ს. მ. უ. ს. ტრესტები (60 პროც.).

ამრიგათ ცენტრალური სავაჭრო სამმართველო ვერ უშვებს თავის მაღაზიებიდან ყველა ტრესტების ნაწარმოებს. მაგალითად, სახელმწიფო ღვინის ტრესტმა აგვისტოში მიჰყიდა ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოს მხოლოდ 25 პროცენტი მის მიერ გაყიდულ ნაწარმოებიდან, დანარჩენი 75 პროც. გაიყიდა კერძო პირებზე. ასეთივე მდგომარეობა ტყავეულობის ნაწარმოებზე და ერბოს და საპნის ტრესტთან. უკანასკნელმა აგვისტოში 5000 ფუთი საპნიდან გადასცა ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოს სულ 600 ფუთი. ამრიგათ ცენტრალური სავაჭრო სამმართველო ჯერ კიდევ ვერ ახერხებს მთელი ნაწარმოების ხელში ჩაგდებას, მაგრამ თუ მივაქცევთ ყურადღებას ბრუნვის თანდათან ზრდას, უნდა ვიფიქროთ, რომ ის შესძლებს თავისი ძირითადი ამოცანის შესრულებას.

რაც შეეხება ნედლი მასალის დამზადების საქმეს, ამ მხრივ ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოს ჯერ არ ძალუძს დააკმაყოფილოს მოთხოვნილებები განყოფილებების და ტრესტების, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში საკუთარი ძალებით და საშუალებებით იკმაყოფილებენ საკუთარ მოთხოვნილებებს.

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(1 ოქტომბერი).

ჩერვონცები — — —	53,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	47,700
ჩეკები —	45,000
დოლარები ეფექტ. —	10,700
„ ჩეკები	10,000
ოსმ. ქაღ. ლირა	6.300
იტალიური ლირა	330
ფრანგული ფრანკი	485
საბჭ. ფულის ნიშნები	14

მუშკოპის ფასები.

(1 ოქტომბერი).

პური 1 ხარ.	— 320-ათ.
პური 2 ხარ.	— 200
ძროხის ხორცი	—1 მილ.
ცხვრის ხორცი	—1400 ათ.
შაქარი რაფინადი	—2,675
ფხვნილი შაქარი	—2,250
ალდაშის ბრინჯი	—525
მაკარონი	—840
კართოფილი	—105

ტფილისის ბაზრის ფასები.

(1 ოქტომბერი.)

პური 1 ხარ. გირ.	—350—400
პური 2 ხარ. გირ.	250
ძროხის ხორცი	— 1200
ცხვრის ხორცი	— 1500
შაქარი რაფ.	— 2600—2700
ფხვნილი შაქარი	— 2300
ბრინჯი ალდ.	— 600
მაკარონი	— 850
კართოფილი	— 125 -150

ბირჟის მიწოდება.

(1 ოქტომბ.)

ლურსმანი, შაქარი ფხვნილი, ცენტროკავშირის ჩაი, აბრეშუმი, სატყეო მასალა, სალამასი, იტალიური მანუფაქტურა, მარსელის საპონი, ქაღალდი საწერი და კარტონი, კანაფი და თოკები, გოგირდი, სკიპიდარი ფრანგ. ტომრები, სალებავები, რკინეულობა, რუს. მანუფაქტურა, აგური, კაუსტიური სოდა, მატყლი, ასანთი რუს. ცემენტი და ტერპენტი, ფქვილი ყუბანისა 1 ხარ. კანიფოლი.

ბირჟის მოთხოვნილება.

(1 ოქტომბერი)

აბრეშუმი, ტომრები, ელექტრონის ლამპიონები, შუშა, ასანთი რუს. რკინა ურალის, ჩაი, ტყავეულობა, ქვა-მარილი . ნახიჩევანის და ბახმუტის, სიმინდი და სიმინდის ფქვილი.

ოფიციალ. ბირჟის გარიგებანი.

(1 ოქტ.)

თუშური მატყლი 23 მან. 75 კაპ. ფუთზე, პორტლანდის ცემენტი 13 მ. 25 კაპ. ბოჭკაზე ფრანკო ბათომი.

ასანთი რუს. „ვოლკოვისა" 12 მ. 50 კ. ფუთში; ასანთი რუს. ლენინის სახ. ქარხნისა 20 მ. ფუთში, ლეკური მატყლი შემოდგომის, მშრალი—17 მ. 16 კ. ფუთში.

ფხვნილი შაქარი რუს. 15 მ. 75 კ. ფუთში.

ტფილისის საქონლის ბირჟის განწყობილება.

(1 ოქტ.)

ტფილისის საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება დღეს უცვლელია.

ვალიუტის ბირჟის განწყობილება. მოთხოვნილება ჩერვონცებზე და უცხო ვალიუტაზე დღეს ცოტად გაცხოველდა, საბჭ. ფულის ნიშნებს ეტყობა დაცემა.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

28 სექტემბერს დადებულია 18 გარიგებანი სულ 75537,47 მან. (ჩერვ.) თანხისა; 29 სექტემბერს მოხდა 26 გარიგება სულ 175729 მან. (ჩერვ.) თანხისა.

პროფკავშირებში

მბეჭდავთა კავშირში.

ახალგაზრდობის შრომის დაცვა.

მბეჭდავთა კავშირის წევრ—ახალგაზრდების საერთო კრებამ მოისმინა შრომის ინსპექტორ ამხ. სუხორუკოვის მოხსენება წარმოებაში ახალგაზრდა მუშების შრომის დაცვის შესახებ.

მოხსენების შემდეგ გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ახალგაზრდობის შრომის დაცვის საქმეში გაწეულია დიდი მუშაობა. შემდეგ რეზოლიუცია მიესალმება შრომის სახ. კომ—ტის მუშაობას მუშა.ახალგაზრდობის შრომის დაცვის სფეროში.

მშენებელთა კავშირში.

ცალკე თვითეულ მშენებელთა საბინაო ქირა.

მშენებელთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ მიიღო რა მხედველობაში, საამშენებლო — წარმოებაში „მკვდარი" სეზონის მოახლოვება, გამოიტანა დადგენილება, რომლის მიხედვით ყველა ცალკე მშენებელი უმუშევრად არის ცნობილი 1 დეკემბრიდან 1 მარტამდე (მკვდარი სეზონი!) და როგორც ასეთნი, საბინაო ქირიდან განთავისუფლებული არიან.

ცალკე მშენებელთა დაზღვევა.

მშენებელთა კავშირის ცენტ. გამგეობამ მიანდო კავშირის მდივანს ამხ. დაცკოს მოლაპარაკება აწარმოოს დამზღვევ ორგანოებთან ცალკე მშენებელთა დაზღვევის საკითხის საბოლოო მოსაწესრიგებლად.

ახლო მომავალში ყველა მშენებელს დაურიგდება დასაზღვევი წიგნაკი.

მუშაკების კავშირში.

ბრძოლა ყალბ არტელებთან.

გემო-კვების კავშირის ფაბ-კომების კონფერენციამ მოისმინა ამხ. ავანოვის ცნობა მრავალ ყალბ არტელების წარმოშობის შესახებ. გემო-კვების წარმოებაში, რის გამოც მრავალი მუშა სამუშაოს გარეთ რჩება და მრავალი „არტელებში" ექსპლოატაციის მსხვერპლი ხდება. სარაიონო ფაბკომებს დაევალათ აწარმოონ ბრძოლა ზემოხსენებულ მოვლენასთან კერძო წარმოებათა ხშირი დათვალიერებით.

ორკესტრი მუშებისათვის.

გემო-კვების კავშირმა გადადო 1 200 მილიონი მანეთი კულტ-ფონდის თანხიდან კავშირისათვის ჩასაბერი მუსიკის ინსტრუმენტების შესაძენად. ორკესტრში მოწვეული იქნებიან კავშირის წევრები.

განათლების მუშაკთა კავშირში

მიმდინარე თვის 11-ს ქ. ტფილისში გაიმართა კავშირის სამაზრო განყოფილებათა თავმჯდომარეების თათბირი. თათბირის მიზანი იყო, ერთის მხრივ, სრული ინფორმაციის მიწოდება ცენტრისთვის, ადგილების მდგომარეობის შესახებ სამოსწავლო წლის დასაწყისში (კავშირი აერთიანებს უმთავრესად ასეთ დაწესებულებათა მუშაკებს), მეორეს მხრივ—ინსტრუქცია-დირექტივების მიღება ცენტრიდან, მოხსენებები (ადგილებიდან) აღძრულ საკითხებზე. თათბირზე გამოცხადდა 18 სამაზრო განყოფილების წარმონადგენელი. სხდომები გრძელდებოდა 4 დღეს და ატარებდა საქმიან ხასიათს.

როგორც მოხსენებებიდან სჩანს, საორგანიზაციო მუშაობა თითქმის ყველგან დამთავრებულია. ამ მხრივ დიდი ნაბიჯებია წინ გადადგმული გასულ წელთან შედარებით. ადგილებზე უკვე გრძნობენ კავშირის არსებობას და მის ძალას. სამეურნეო ორგანოებიც (განათლების განყოფილება) საკმაო ანგარიშს უწევენ. განსაკუთრებით ხაზგასმით იქნა აღნიშნული ყველა განყოფილებათა მიერ მუშა-მოსამსახურეთა დაზღვევის საკითხის კარგად დაყენება. თუ გასულ წელს განათლების კომისარიატი ვერ ახერხებდა დამზღვევ პროც. გადახდას,—წელს, პირიქით, კომისარიატი პირველია ამ მხრივ. კიდევ მეტი: ზოგ მაზრებში (გორი, ლეჩხუმი და სხვა) მხოლოდ ის იხდის პროც. და უკანასკნელის თანხა წარმოადგენს ყველა კავშირის წევრთათვის დახმარების წყაროს. ამ გარემოებას ერთი უარყოფითი შედეგი აქვს განათლების მუშაკთა საზარალოდ. თანხები არ ყოფნის ყველას, რის გამოც ხშირად ავადმყოფი განათლების მუშაკი მოკლებულია სათანადო დახმარებას. საჭიროა დანარჩენ უწყებებმაც დროულად არიცხონ დასაზღვევი პროც. კავშირის მოქმედება აშკარად სჩანს მუშაკთა მიღება-დათხოვნის საკითხში. თითქმის ყველა მაზრებში, როგორც ახლის მიღება, ისე ყოველგვარ გადაჯგუფება-განრიგება ხდება კავშირის ორგანოების უშუალო მონაწილეობით. ამ მიმართულებით გატაცებასაც აქვს ალაგი და ოზურგეთში, მაგალითად, კავშირს ექსპერტიზის მოხდენაც განუზრახავს. არის დეფექტებიც ამ დარგში (სატარიფო-საეკონომიო—შრომის დაცვა). ადგილები ხშირად სისწორით ვერ იგებენ კოლექტიურ ხელშეკრულების თუ შრომის კანონთა კოდექსის ამა თუ იმ მუხლს. თითქმის სრულიად შეუთვისებელია შემფასებელ-საკონფლიქტო კომისის ფუნქციები როგორც კავშირის (მუშათა ფრაქცია), ისე ადმინისტრაციის მხრივაც.

ყველა ამ გაუგებრობათ, ალბად, ალაგი არ ექნება მომავალში—რადგან დაწერილებით განმარტება მიიღეს ყველა დეტალზე.

კულტმუშაობის მხრივ ადგილები ვერ იძლევიან სასურველ სურათს. რამდენადმე არის საპატიო მიზეზები. ის გარემოებაც აღსანიშნავია, რომ კავშირის უმრავლესობა შედარებით კვალიფიციური მუშაკებია. ამათ გარდა, საზაფხულო არდადეგებში მთელი მასწავლებლობა იმყოფებოდა გადასამზადებელ კურსებზე. თავის თავად ეს დიდი საკულტურო მუშაობაც იყო, მაგრამ ვერ იტევდა იმ პროფესიულ პოლიტიკურ ამოცანებს, რაიც კავშირს მიზნად აქვს დასახული. ც. გ. ადგილებს უნაწილებდა კულტფონდს (როგორც წიგნებით, ისე ფულად). ეს წიგნები ხშირად არ გახცილებია ნესტიან კარადებს და ფული კი უსარგებლოდ ინახებოდა კასებში. გამგეობამ ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და იმ მაზრებს, რომლებიც ვერ გამოიყენებენ კულტფონდს, უკანასკნელი არ გაეგზავნება და მოხმარდება უფრო ენერგიულ მაზრებს. ასეთებად უსათუოდ უნდა ჩაითვალოს: ქუთაისი, გორი, ოზურგეთი და სხვა. ქუთაისში უკვე რამოდენიმე თვეა გახსნილია განათლების მუშაკთა სახლი; დაარსებულია მთელი რიგი პედაგოგიური ხასიათის ქ | სექციათა; სწარმოებს სისტემატიური მეცადინეობა, ლექციების კითხვა, საუბრები. ამ მიმართულებით მუშაობის წარმართვა განზრახული აქვთ ოზურგეთს, გორს. უკანასკნელის ინიციატივით ქ. ხაშურში ამ დღეებში გაიხსნება განათლების მუშაკთა სახლი. ც. გ. უკვე გადასცა უფასოდ ნახევარი მილიარდის წიგნები „სახლთა" ბიბლიოთეკის მოსაწყობად.

მიუხედავათ ზევით-ხსენებულ დეფექტებისა, წარსულთან შედარებით, მაინც აღსანიშნავია ადგილებზე კულტმუშაობის გამოცოცხლება.

საზოგადოთ ადგილებზე კულტმუშაობა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ამჟამად.

ც. გ. გამოსცა ყოველთვიურ პროფესიონალურ-პედაგოგიური ჟურნალი. მართალია, ჟურნალის პირველი № სუსტია (ამას არ მალავს არც გამგეობა), მაგრამ ამ სისუსტის ძლევა დამოკიდებულია სწორედ ადგილების თვითმოქმედებაზე, მათი მუშაობის უნარზე და ხალისზე.

ერთი გადაუდებელი ამოცანათაგანია დაუყოვნებლივ კორესპონდენტ-თანამშრომელთა ქსელის გაფართოება და ჟურნალის გავრცელება.

ც. გ. განზრახული აქვს ახლო მომავალში გამოსცეს კრებული ჩვენი კავშირის ისტორიის შესახებ. ცენტრში უკვე დაარსებულია კომისია მასალების შესაკრებად. ასეთი კომისიები უნდა მოეწყოს ყველა მაზრებში.

უკვე დამზადებულია და მალე დაიბეჭდება გ. მ. ს. გამოცემით დიუის და სინიცკის წიგნები ქართულ ენაზე რაიც დიდ შეძენად უნდა ჩაითვალოს წიგნებით ღარიბ პედაგოგიკისათვის.

განათლების მუშაკთა კავშირი საკმაოდ მტკიცეა ფინანსიური მხრივაც. არის დეფიციტიანი მაზრები: ლეჩხუმი, ფოთი, დუშეთი, ახალციხე, ახალქალაქი, ბორჯომი. ამათ დეფიციტს ფარავს ც. გ., დანარჩენი მაზრები არსებობენ საკუთარი თანხებით, გამგეობის მიერ დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.

კავშირის საფინანსო მდგომარეობის გათვალისწინებით და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად ჩატარებულ იქნა სამაზრო განყოფილებათა რეორგანიზაცია.

ის მაზრები, რომლებიც აკავშირებს 250 წევრზე ნაკლებს, გადაკეთდა სამაზრო ადგილკომებათ. ასეთებია: ახალციხე, ახალქალაქი, ბორჯომი, ფოთი, რაჭა, ლეჩხუმი, დუშეთი, ბორჩალო. თვითეულ ადკომს გასამრჯელო ეძლევა ერთ პასუხისმგებელ მუშაკზე. დანარჩენი განყოფილებები რჩებიან სამაზრო და რესპუბლიკანურ განყოფილებათ. (უკანასკნელია: აჭარა, აფხაზეთი, სამხრეთ-ოსეთი). თვითეულ სამაზრო განყოფილებას ეძლევა გასამრჯელო ერთი პასუხისმგებელ და ერთ ტეხნიკურ თანამშრომელზე. სამაზრო ქალაქებში ადგილკომები უქმდება. მათ ნაცვლად არსდება დელეგატ - რწმუნებულის ინსტიტუტი. თვითეულ დაწესებულებას ჰყავს დელეგატი. საკავშირო მუშაობა ქალაქის ფარგლებში სწარმოებს განყოფილების გამგეობის ხელმძღვანელობით. მაზრაში თვითეული თემი ირჩევს დელეგატს; თემთა დელეგატები ადგენენ რაიონულ ადგკომს, რომელსაც უშუალო ხელმძღვანელობს მაზრა. რაიონული ადგილკომები იღებენ გასამრჯელოს. ასეთებია: ქუთაისის მაზრაში ორი (სამტრედია, ხონი), აჭარაში 2 (ქობულეთი, აჭარა) აფხაზეთში—4 (კოდორი, სამურზაყანო, გუმისი, გუდაუთი), სენაკში—1 (აბაშა), ოზურგეთში —2 (ლანჩხუთი, ჩოხატაური), ჭიათურაში—1 (ყვირილაში), გორი—1 (ხაშური); პროც. ანარიცხები კავშირის წევრებიდან უდრის —4. იკრიბება ქალაქებში ინდივიდუალურ წესით, ადგილებზე—სათემო დელეგატ-რწმუნებულთა საშუალებით. კონფერენციის შემდეგ გაიმართა გაფართოებული პლენუმის სხდომა, გამგეობის წევრების სამაზრო განყოფილებათა თავმჯდომარეების და ადგკომების მონაწილეობით. პლენუმმა, სრულიად საქართველოს მესამე ყრილობის დადგენილების მიხედვით, პრეზიდიუმის ნაცვლად გამოყო სამდივნო-სამი პირისაგან, დაამტკიცა პრეზიდიუმის მიერ გადადგმული ნაბიჯები სამაზრო განყოფილებათა რეორგანიზაციის შესახებ; მოისმინა და დაამტკიცა შრომის ახალი ნორმები, რომლებიც [illegible] ა | კავშირის [illegible]ბისათვის. საქართველოს განათლების მუშაკთათვის ახალი ნორმები შედარებით უკეთესია როგორც კვალიფიკაციის, ისე შრომის ხელფასის პირობების მხრივაც. უკვე მიღწეულია განათლების კომისარიატთან შეთანხმება და ამ დღეებში ის პრაქტიკულად შემოღებულ იქნება ცხოვრებაში.

ამა წლის 29 სექტემბერს სრულდება ერთი წელი განათლ. მუშაკთა სახლის დაარსების დღიდან. ამ დღის აღსანიშნავად პლენუმმა დაადგინა ეწოდოს „სახლს"—„ცენტრალური განათლების მუშაკთა სახლი".

ნაციონალურ საკითხში პლენუმმა საჭიროდ დაინახა რ. კ. პ. მე-12-ე ყრილობის დადგენილებათა ცხოვრებაში დაუყოვნებლივ და ბოლომდე გატარება.

დასასრულ ეთხოვა განათლების კომისარიატს გადმოგვცეს გამგეობის განკარგულებაში ბორჯომის ყოფილი მასწავლებელთა სანატორიუმის შენობა. განზრახულია მისი შეკეთება და მომავალ წლიდან მასწავლებელთა დასასვენებელ სახლად გამოცხადება.

ა. ზ.

მეცნიერება და ტექნიკა

მოლაპარაკე ფილმები.

ბერლინის სახალხო თეატრ „ურანიაში" ინჟინერები გ. ფოხტი, ჟ. მასოლი და ფიზიკი ი. ენგელი უჩვენებდენ ხალხს თავის მოლაპარაკე ფილმებს, რომელზედაც ისინი ოთხი წლის განმავლობაში მუშაობდენ. მოლაპარაკე ფილმების დამზადების იდეა წარმოშვა მათში ბერლინის ფიზიკ. რუმეს მიერ 1901 წელში გამოგონებულმა ფოტოგრაფოფონმა.

ხმის გადასაღებად, ხმის ტალღებს აქცევენ სინათლის რხევათ. პირველათ ხმის ტალღები მიკროფონში იქცევიან სუსტ ელექტრონულ ტალღებათ. შემდეგ ეს ტალღები თანდათან ძლიერდებიან და იქცევიან სინათლის რხევათ. სინათლის რხევას შემდეგ იღებენ ჩვეულებრივ ფილმაზე.

ფილმის ხელ-ახლა ხმებათ გადასაქცევათ, მასში უშვებენ სინათლის შუქს, რომელიც იმის და მიხედვით თუ რამდენათ ნათელია ფილმა, მოქმედობს მასზე სუსტად, ან ძლიერათ. ეს სინათლე ეცემა ფოტო-ელექტრონის აპარატზე, სადაც სინათლის რხევა იქცევა სუსტ ელექტრონულ ტალღებათ და შემდეგ სპეციალური გამაძლიერებლის საშუალებით იქცევა ნამდვილ ხმებათ.

ამრიგათ, აღნიშნულმა პირებმა აიაღწიეს ხმისა და სინათლის ერთდროულობას, რომელიც შეუძლებელი იყო კინემატოგრაფის და გრამოფონის უბრალო შეერთებით. ამრიგად პრობლემა, რომლის გადაჭრასაც ცდილობდენ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში, უკვე გადაჭრილია.

ახლო მომავლის საქმე.

რამდენიმე წლის წინათ გერმანელმა მეცნიერმა კურტ ლასვიცმა დასწერა რომანი —„ორ პლანეტაზე", რომელშიც დახატა ნახევრათ რეალური, ნახევრათ ფანტასტიური სურათი მომავლისა.

მეტად დამახასიათებელია ის, რომ ეს წიგნი დასწერა არა ბელეტრისტმა, არამედ ცნობილმა მეცნიერმა.

კაცობრიობა უფრო მეტის და მეტის სიძლიერით სცდილობს გაარღვიოს ის ბნელი, რომელიც გვაშორებს დედამიწის სხვა თანამოძმეებს და გამოიცნოს სამყაროს საიდუმლოება.

ელექტრო-ტეხნიკის ცნობილმა პროფესორმა საგულკამ (ვენა) წამოაყენა მთელი თეორია პლანეტებს შორის მიმოსვლის მოწყობის შესაძლებლობის შესახებ. ამ თეორიის მიხედვით, დედამიწა განუწყვეტლივ განიცდის ეფირის ატომების თავდასხმას. ეფირის ატომები იჭრებიან ჩვენს პლ ნეტაში. ეს ამცირებს მის სისწრაფეს. ამის გამო მსოფლიო ეფირის ახალი და ახალი უფრო მეტის და მეტის სიძლიერით ეჯახებიან დედამიწას და ყველაფერს, რაც კი მის ზედაპირზე იმყოფებოდა, იზიდავენ მისკენ. (საგულკას აზრით ეს არის სიმძიმის ძალა). აქედან საგულკას ასეთი დასკვნა გამოჰყავს:—რომ აღმოჩენილი იქნეს ისეთი ნივთიერება, რომელიც გაუძლებს ეფირის ატომების თავდასხმას, მაშინ შესაძლებელი იქნება პლანეტებს შორის მიმოსვლის მოსაწყობათ ხომალდების აგება. ამ ხომალდებს გარედან ექნება „ეფირის გამძლე" კანი, რაც გაანთავისუფლებს მას ეფირის ატომების დაწოლიდან, ე. ი. ამ ხომალდს არ ექნება არავითარი სიმძიმე (ატომების დაწოლიდან განთავისუფლების გამო ხომალდი თავისუფლდება აგრეთვე დედამიწისაკენ მიმზიდველობის ძალისაგან). ასეთ ხომალდს საშუალება ექნება გაშორდეს დედამიწის ატმოსფერას.

ქრონიკა

— **მისალმება.** შრომის სახალხო კომისარიატმა შემდეგი დეპეშა მიიღო შორაპნიდან: შორაპნის მაზრის საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის წევრთა მესამე კონფერენცია გესალმებათ თქვენ და გისურვებთ მეტ ენერგიას მშრომელ ხალხის საკეთილდღეოთ, ჩვენ კი ფიცსა ვსდებთ, რომ დაუღალავათ ვიმუშავებთ საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობის ასპარეზე. გაუმარჯოს საერთაშორისო პროფმოძრაობას, გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა მუშაკებს, პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობას და მის ხელმძღვანელებს.

— **ცენტრალური შრომის ბირჟის სახელწოდების შეცვლა.** შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებით შრომის ცენტრალურ ბირჟას ეწოდა შრომის ბაზრის განყოფილება. ხსენებულ განყოფილებისა და ტფ. შრომის ბირჟის გამგეთ დაინიშნა ამხ. დ. რუხაძე, მის მოადგილეთ ამხ. გ. ჯულელი.

— **უმუშევართათვის დახმარების კვირეული.** შრომის სახ. კომისარიატის დადგენილებით შესდგა განსაკუთრებული კომისია შრ. სახ. კომისარიატის, საქ. პროფკავშირის კულტ-განყოფილების, ხელოვნების მუშაკთა კავშირის წარმომადგენელთა შემადგენლობა—უმუშევართათვის დამხმარე კვირეულის მოსაწყობათ და ჩასატარებლათ.

— **მხერხავთა არტელი.** შრომის სახ. კომისარიატმა დაამტკიცა შრომის ბირჟის კომიტეტის შუამდგომლობა მხერხავთა არტელის მოწყობის შესახებ და დაადგინა ყველა წარმოება-დაწესებულებებს მხოლოდ მხერხავთა არტელის საშუალებებით აწარმოონ სახერხი საქმეები.

— **წიგნაკები უმუშევრებს.** შრომის სახ. კომისარიატმა დაამტკიცა დაზღვეულ უმუშევრებს მიეცეთ წითელი ფერის წიგნაკი, არა დაზღვეულებს—თეთრი.

— **საქართველოს სიძველეთა დასაბრუნებლად.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა: რუსეთიდან საქართველოს სიძველეთა ჩამოტანის დასასრულებლათ, გადადებული იქნეს 500 ჩერვონცი. საბჭომ წინადადება მისცა განათ. სახ. კომისარიატს, რომ ეს თანხა შეიტანოს 1923—24 წლის თავის ხარჯთაღრიცხვაში.

— **გორის გამასწორებელი სახლი.** გორის გამასწორებელ სახლის შესაკეთებლათ საქ. სახ. კომისართა საბჭომ გადასდო 685,751,000 მან.

— **აბრეშუმის თესლის შეძენა.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა, წინადადება მისცეს ცეკავშირს აბრეშუმის თესლის ფონდიდან საზღვარგარეთ შეიტანოს 75,000 კოლოფი აბრეშუმის თესლი 1923—24 წლის სეზონისათვის.

— **თიანეთის საგადასახადო სამეული.** საქ. სახ. კომ. საბჭომ დაადგინა, თიანეთის მაზრის გაუქმების გამო, არ გაუქმდეს ამ მაზრის საგადასახადო სამეული და მუშაობა გააგრძელოს ამა წლის დამლევამდე.

— **ცრუ ექიმების წინააღმდეგ.** ჯანმრ. სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა, სასტიკი ზომები მიიღოს, როგორც ქალაქში, ისე სოფელში გავრცელებულ შინაურ ექიმობის წინააღმდეგ და აილაგმოს ცრუ ექიმები.

— **პროფტეხნიკური განათლება უმუშევართა შორის.** შრ. ბირჟის კომიტეტებმა შუამდგომლობით მიმართა შრომის სახ. კომისარიატს, რომ მან გაიღოს სათანადო თანხა უმუშევართა შორის პროფტეხნიკურ განათლების გასავრცელებლად.

— **შრომის ბირჟა** 1 ოქტომბერს აღრიცხვაზე გამოცხადდა—624 უმუშევარი. ახლად ჩაწერა—107, სამუშაოზე გაიგზავნა—48.

შემთხვევები.

— **უბედური შემთხვევა.** 30 სექტემბერს სად. 7 საათზე, პლეხანოვის პრ. ავტომობილმა გაიტანა 11 წლის ბავშვი ალ. ალექსიევი.

— **თვითმკვლელობა.** 30 სექტ მე-3 სამილიციო უბანში სამარქაფო უმცროს მილიციონერმა იოსებ ჯანიაშვილმა მილიუტინის ქ. ადეი-მამულოვის სასტუმროში, თავი მოიკლა. მიზეზი გამოურკვეველია.

— **თავის დაჭრა.** 30 სექტ. მე-7 სამილიციო უბანში შემახოვის ქუჩაზე მოქ. იოსებ ასათიანმა თავი დაიჭრა ოჯახურ უკმაყოფილების ნიადაგზე.

— **ქურდების შეპყრობა.** 20 სექტ. მე-9 სამილიციო უბანში შეიპყრეს ქურდები ალიბინი და ვასილ ჩატაშვილი.

— **თავის მოწამლვა.** 29 სექტემ. დიმიტრის ქ. მოქ. მატრონა ანანიევისამ თავი მოიწამლა ოჯახურ უკმაყოფილების ნიადაგზე.

ხელოვნება

— **სახელმწიფო თეატრების ხარჯთაღრიცხვა** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა სახელმწიფო აკადემიურ თეატრების 1923—1924 წ. სეზონის ხარჯთ-აღრიცხვა 62,997 ჩერვონეცის რაოდენობით.

— **აკადემიურ თეატრების გადასახადისაგან განთავისუფლება.** საქ. სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით ყველა აკადემიური თეატრები გარდა 5 პროც. წითელი ჯვარის სასარგებლოდ გაწერილ გადასახადისა განთავისუფლებულნი არიან ყველა გადასახადისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

ჩვენი მუშა-ქალების მწუხარება

არა ერთხელ შევხვედრივართ გაზეთის ფურცლებზე ჩვენი მუშა-ქალების იმ მეტად მწარე უკმაყოფილებას და მწუხარე გამოძახილს, რომელიც გამოწვეულია მათი ქმრების უბედური ჩვეულებით, ლოთობით და სხვა.

ლოთობის მაგალითები მრავალია. არის შემთხვევები, როცა რამოდენიმე ათეული მუშა ერთად მიეშურება დუქანში ღვინის სასმელად.

რა არის ეს საქციელი, თუ არა ზნეობრივი სისუსტე და შეუგნებლობა ზოგიერთ ჩვენი მუშების?

ბევრი მუშა იმდენად დაავადმყოფებულია ლოთობით, რომ მათ რაც უნდა დიდი სურვილი ჰქონდეთ სახლში დარჩენისა, მისი ხასიათის სისუსტე და ღვინის სმის ჩვეულება მათ მაინც სძლევს ხოლმე და გააჩქარებს ლოთობის საბუდარ დუქნებში.

მუშების ასეთი საქციელი ყველაზე უფრო სტანჯავს და სიცოცხლეს უმწარებს მათ ცოლებს, ჩვენს აღმზრდელ დედებს და დებს. უკმაყოფილების ხმები ათასობით და ათი-ათასობით უნდა იყოს. ეს კიდევ ცოტაა.

სამწუხაროდ ჩვენი ადგილკომები და ფაბკომები ასეთ მუშებზე გავლენას ვერ ახდენენ და ვერ ეხმარებიან ჩვენს მუშა-ქალებს.

როგორც ზევით მოვიხსენეთ, მწუხარება დიდია. უნდა გამოვაცხადოთ ლოთობის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა ამიერიდან.

თვით ჩვენმა მუშა-ქალებმა უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა ამ ბრძოლაში. სიტყვით და საქმით სასტიკად უნდა ებრძოლონ თავიანთი გმირების ასეთ დაუშვებელ და შეუწყნარებელ ჩვეულებებს. ისინიც უნდა მოეწყონ ორგანიზაციულად; მიმართონ ქალთა განყოფილებას, მიიღონ მხურვალე მონაწილეობა სადელეგატო კრებებზე, თვითონვე მოსპონ ლოთობის საბუდარი დუქნები, და ამით ხელი შეუწყონ საბჭოთა ხელისუფლებას მუშათა კლასის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

არავინ არ იფიქროს, რომ ბრძოლა ლოთობის წინააღმდეგ გათავებულია. არა—მისი სავსებით აღმოსაფხვრელად კიდევ გვჭირდება საქმიანი მუშაობა.

მუშკორი მახხი.

ეს მოვლენა არანორმალურია, უნდა გამოსწორდეს

(მუშკოპის გამგეობის და ადგილკომის საყურადღებოდ).

ჩვენი ქარხნის მუშები ღებულობდენ დღეში 14 ფუთ მუშკოპის პურს, მაგრამ ამ ბოლო დროს მე შევამჩნიე, რომ პურის რაოდენობამ იკლო 8 ფუთამდე. ამ მოვლენას დაუწყე მე პირადად თვალყურის დევნა და გამოვარკვიე შემდეგი:

საქარხნო კომიტეტი მუშებს შორის აგროვებს პურის ფულს ჯამაგირის დარიგებისას 12—15 დღით ადრე—წინდაწინ—პურის გაძვირების თანაბრად. მიუხედავად ამისა მუშებს ყოველთვის უხდებათ ფულის დამატება.

ამ შემთხვევაში უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ მუშები იხდიან ფულს 12 დღით ადრე იმ ფასების მიხედვით, რომელიც არსებობს ფულის შეგროვების დღეს; ფული კი ინახება ქარხკომის სალაროში და კარგავს თავის ფასს. ჩემს შეკითხვაზე, თუ რად არ შეაქვს ქარხკომს ფული მუშკოპში, მიპასუხეს, რომ „სულ ერთია, იქაც საჭიროა ფულის დამატებაო". მე ვფიქრობ, რომ ეს ასე არ უნდა ხდებოდეს. მუშკოპმა, როგორც მუშათა ორგანიზაციამ ეს საკითხი უნდა მოაგვაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში მუშები მას ჩამოცილდებიან. და რომ ეს ასე არის, საამისო ფაქტებიც მოგვეპოვება. მუშებს აღარ მიაქვთ იმდენი პური, რამდენიც მიჰქონდათ მათ წინედ, და ეს მაშინ, როდესაც ბაზარზე პური უფრო ძვირია.

ეს მუშკოპის შეცდომა კი კარგად გამოიყენა კერძო მეფურნემ. აქ მუშამ ერთი თვით ადრე გადიხადა ფული და ერთი თვის განმავლობაში ის იქ იღებს პურს ფასის დაუმატებლად.

მუშკოპს აქვს საბანკო განყოფილება, სადაც სრულიად ადვილად შეიძლება ფულის შეტანა. ამიტომ მუშა ზარალს ასცილდება და მას პურის ფულის მესამე დღეს შეტანა აღარ მოუხდება. რაც ამ მხრივ დღეს დღეობით ხდება, სამწუხაროა და არაა სასურველი. ამიტომ მუშკოპის გამგეობას მართებს აუცილებლად გამოასწოროს ეს ნაკლი დაუყოვნებლივ.

მუშკორი როტინოვი.

ხმა მუშათა კლუბიდან.

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ საქართ. პროფკავშირთა საბჭოს გამგებლობაში იმყოფება მუშათა ცენტრალური კლუბი, რომელიც აკმაყოფილებს ყველა პროფკავშირების წევრთა კულტურულ მოთხოვნილებებს, მხოლოდ ამ კლუბში შეძლება აქვთ მუშებს მოისმინონ სერიოზული კონცერტები, მუსიკალური კვარტეტები, პიესები, თვითმოქმედების საღამოები და სხ. მუშათა კლუბი არის ცენტრი მუშათა რაიონებისა. აქ, ამ რაიონში ბლომად თავს იყრიან ტრამვაის მუშები, მელითონეები, მეთამბაქოელები, რკინის გზის დეპოს მუშები, ელექტრიკები და სხ. მიუხედავად ამისა, ეს კლუბი ამჟამად განიცდის დიდს ეკონომიურ კრიზისს. მუშათა ცენტრალურ კლუბზე მიწერილია „უეს"-ის მიერ რვა მილიარდ მანეთამდე გადასახადი ელექტრონის განათებით სარგებლობისათვის და შვიდი მილიარდი მოწერილია აღმასკომის წყალსადენის მიერ წყლის სარგებლობისათვის. აი ეს თანხა აწევს მუშათა ცენტრალურ კლუბს როგორც საშინელი ვალი. თუ ეს 15 მილიარდი არ იქნა გადახდილი ამ მოკლე ხანში, კლუბს „უეს"-ი გადაუჭრის სინათლეს, წყალსადენი კი დაუკეტავს წყალს. აქედან ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მდგომარეობაში ჩავარდება ჩვენი კლუბი. კლუბი იძულებულია შეჩერდეს ერთი თვით. აღმასკომის წყალსადენმა და „უეს"-მა უნდა იცოდენ, რომ მუშათა კლუბი ინახება თავის ხარჯზე კულტურულ გადასახადებისაგან. ეს კი არც კი ფარავს მისი პირად შემადგენლობის შენახვას და ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ ამ გარემოებას მიექცეს, ვისგანაც ჯერ არს, ყურადღება და კლუბი ან სრულიად განთავისუფლებულ იქნეს აღნიშნულ გადასახადისაგან, ან და შემოკლდეს მისი რაოდენობა ორ მესამედად მაინც.

მუშათა კლუბი—კერაა პროლეტარულ ხელოვნებისა, და ჩვენც გვსურს მისი შუქის და სითბოს ნორმალური დენა.

მუშკორი მელითონე.

რკინისგზის დამცველ რაზმში

(ადგილკომის საყურადღებოდ).

მეორე რაიონის რკინისგზის დამცველ რაზმს აქვს სადარაჯოები ხიდეებზე, რომლებიც შედის ამავე რაიონში. აღნიშნულ რაზმელებს ამ ხიდეებზე უხდებათ დარაჯობა ხუთმეტი დღე. ბინა (სადარაჯო ოთახი), რომელშიაც საგუშაგოდან გამოცვლის შემდეგ ისვენებს რაზმელი, არ არის მოწყობილი ლოგინებით (ზოგიერთ ადგილას), მასთან წვიმის დროს თვით შენობაში სახურავიდან წყალი ჩამოდის. საგებ-სახურავი არ ვარგა, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, ვინაიდან ზამთარი მოახლოვებულია, რასაც შეუძლია ხელი შეუწყოს სხვადასხვაგვარ ავადმყოფობას. სასურველია ამავე რაიონის ადგილკომმა დაათვალიეროს ზემოხსენებული ხიდეები და ყოველივე ნაკლულოვანება ადგილობრივ აღნუსხოს და წარადგინოს შუამდგომლობით, სადაც ჯერ არს, რათა იქნეს ყოველივე ეს ნაკლი გამოსწორებული ახლო მომავალში.

მუშკორი კინო.

მუშა-მსახიობის ლევან ბალაშვილის იუბილეს გარშემო

კვირას, 23 სექტემბერს, მჭედლების კლუბში შესდგა მუშა-მსახიობის ლევან ბალაშვილის იუბილეს მომწყობი კომიტეტის გაფართოვებული სხდომა, რომელზედაც დაესწრნენ სხვა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, მუშა-მსახიობნი და კერძო პირები. საპატიო თავმჯდომარეებათ ერთხმად არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: მიხა ჩოდრიშვილი, ქენტორი რუხაძე, ნატალია ქიქოძის, ნიკო ქიტიაშვილი და ზაქარია ჭიჭინაძე. მთელ რიგ ამხანაგების სიტყვებში, რომლებიც სულით და გულით თანაუგრძნობდნენ იუბილიარს, გამოიხატებოდა ის უანგარო და თავდადებული შრომა ხელოვნების საქმეში, რაც პირნათლად შეასრულა ამხ. ბალაშვილმა. სხვათა შორის უნდა აღინიშნოს სომხურ გაზეთ „მართა-კოჩის" წარმომადგენლის ამხ. გულაზიანის სიტყვა, რომელიც ამბობს, რომ მაშინ, როდესაც ჩვენში ინტრიგანობა იყო, შოვინისტური სული ტრიალებდა და სომხურ-ქართულ წრეების შეკავშირება შეუძლებელი ხდებოდა, აი სწორედ მაშინ გამოჩნდა ბალაშვილი, მოსპო დავა-ქიშპობა და ეს სავალალო საქმეც მოგვარებული იქნა; ჩვენ შევკავშირდით, რის გამოც ის გულწრფელად აცხადებს, რომ თუ კი ვინმეა ღირსი მუშა-მსახიობებში იუბილეს, „ეს სწორედ ამხ. ბალაშვილია"-ო.

მოხსენებების შემდეგ კრებამ დაავალა ამხ. მიხა ჩოდრიშვილს, ნატალია ქიქოძისას, ნიკო ქიტიაშვილს, ქენტორ რუხაძეს, გამართონ მოლაპარაკება პროფესიონალურ საბჭოსთან და მთავრობასთან სესხის სახით თანხის აღებისათვის.

იუბილეისათვის მიღებულ იქნა „რუსთაველის" თეატრი (ერთხმად) და კომიტეტს ერთი თვე მიეცა ვადა იუბილეს მოწყობისათვის.

შემდეგ არჩეულ იქმნა სამანდატო და სარევიზიო კომისია, რომელშიაც შევიდნენ ჩვენი პასუხისმგებელი ამხანაგები.

შემდეგი სხდომა ინფორმაციისათვის დაინიშნა კვირას, 30 სექტემბერს ა. წ. დილის 10 საათზე, მჭედლების კლუბში (რუსთაველის პროსპ. № 39).

მუშა გ. გ—ძე.

ს. სუფსა (ოზურგეთის მაზრა)

კვირას, 2 სექტემბერს, ადგილობრივ სახალხო სახლის სასარგებლოთ ამავე სახლის ბაღში გაიმართა საღამო წარმოდგენით. წარმოდგენილ იქნა შ. დადიანის 3 მოქმედებიანი დრამა: „შენი ჭირიმე" და ამავე დრამიდან გადმოკეთებული ფუშტების მიერ შარჟი: „ТВОЙ ჭირი мне". წარმოდგენაში მონაწილეობას ღებულობდენ ადგილობრივი წრის სცენის მოყვარენი და ორივე პიესა სასურველად ჩაატარეს. საღამოს აურებელი ხალხი დაესწრო.

შემოსავალმა მოლოდინს გადააჭარბა—მან ერთი მილიარდი წმინდა შემოსავალი დატოვა, რაც გადაეცა სახალხო სახლის სააღმშენებლო ფონდს. დიდი მადლობის ღირსია ამ საღამოს ინიციატორები: დ. მეგრელიძე, მ. ფაციეიშვილი, იასონ სარიშვილი, მოსე ღლონტი, ნ. ფაციეიშვილი, ლ. მოისრაფეიშვილი, ფ. ჯინჭარაძე, ადგილობრივი სცენის მოყვარეთა წრე და ყველა ის პირნი, რომელთაც მხურვალე დახმარება გაუწიეს ამ საღამოს.

სუფსელი მეთარე.

ქ. ონი

განათლების კომისარიატის ნებართვით ა. | წ. ქ. ონში პ. ლანდიამ გახსნა ორ თვიანი საბუხჰალტრო კურსები. ამ საქმეს სიამოვნებით შეხვდნენ ადგილობრივი დაწესებულებები, განსაკუთრებით განათლების განყოფილების გამგე, რომელმაც აღმოუჩინა დახმარება და მოათავსა მთლიან შრომის სკოლაში. საბუხჰალტრო კურსებზე ლექტორებათ იყვნენ მოწვეული: განათლების განყოფილების გამგე ილიკო მეტრეველი, მთლიანი შრომის სკოლის გამგე გრიგოლ ბენდუქიძე. პოლიტეხნიკური სასწავლებლის ლექტორი პეტრე ლანდია.

კურსებზე იყვნენ მიღებული 28 მსმენელი. მეცადინეობა სწარმოებდა საღამოობით 4—7 საათამდე, კურსებზე მეცადინეობა პრაქტიკულად იყო დაყენებული, რაც მსმენელებს დიდათ აინტერესებდა.

მეცადინეობის დამთავრების შემდეგ დაიწყო გამოცდები, რომელსაც დაესწრო განათლების განყოფილების მიერ ოფიციალურად დანიშნული წარმომადგენელი, ქ. ონის ფინანსიური განყოფილების გამგე ამხ. გიორგი ჯაფარიძე.

გამოცდების შემდეგ კურსების დამთავრების ატესტატები მიიღო 19 მსმენელმა.

მსმენელი.

„ახალგაზრდა მარქსისტების" დაშლა

(წერილი რედაქციის მიმართ)

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ გამოაცხადოთ შემდეგი:

სხვა და სხვა პრინციპიალური და ტაქტიკურ საკითხებში არ შემიძლია დავეთანხმო რა საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების ცენტრ. კომიტეტს, გამოვდივარ დღეიდან როგორც მისი შემადგენლობიდან, ისე საერთოდ საქართ. ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციიდან. მზათ ვარ ხელი შევუწყო არსებულ ხელისუფლებას სოციალისტური აღმშენებლობის საქმეში.

საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ცეკას ყოფ. წევრი **სიმონი (ჭიჭიკო) ძველაია.**

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. სექტემბრის 27.

საკანცელარიო გამოსაღების შეცვლის შესახებ.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. 1923 წ. აგვისტოს 22 თარიღით გამოცემული დადგენილების („ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. სექტებრის 2-ს თარიღის 201 №-სიის) შესაცვლელად,—150.000 მ. (ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით) საკანცელარიო გამოსაღების ნაცვლად, ამა გამოსაღების განაკვეთი შემოღებულ იქნას ჩერვონეცის ანგარიშით და დაწესდეს 5 (ხუთი) კაპეიკი.

2. უფლება მიეცეს ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაადგინოს ხოლმე ყოველთვიურად 1-სა და 15-ს რიცხვის კოეფიციენტი, რომლითაც გამრავლებული საკანცელარიო გამოსაღების განაკვეთი განსაზღვრავს ამა გამოსაღების რაოდენობას ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სტურუა.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ბ. თალიბლი.

დებულება

სასამართლოში საქმეების დამცველთა კოლეგიისა

(გაგრძელება).

9. დამცველთა კოლეგიის საზოგადო კრებას მოიწვევს კოლეგიის პრეზიდიუმი ან და ასეთი კრება მოწვეულ უნდა იქნეს კოლეგიის წევრთა რიცხვის არა ნაკლებ მეხუთედის მოთხოვნისამებრ. საზოგადო კრების საქმეს შეადგენს ა) კოლეგიის პრეზიდიუმის არჩევა და მისი ანგარიშის მოსმენა; ბ) დამცველთა კოლეგიის წევრთა საერთო რიცხვის განსაზღვრა; გ) ისეთი საზოგადო საკითხის განხილვა, რომელიც ეხება დამცველთა მთელი კოლეგიის მოქმედებას; დ) კოლეგიის ფონდში გადასარიცხის დაწესება; ე) შემუშავება კონსულტაციის მოწყობის საერთო გეგმისა მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების აღმოსაჩენად, ეს გეგმა დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს ოლქის სასამართლოს.

შენიშვნა: 1. საზოგადო კრებების და პრეზიდიუმის სხდომების ოქმის ასლი სამი დღის განმავლობაში ცნობისათვის უნდა გაეგზავნოს ოლქის სასამართლოს და საპროკურატურო განყოფილებას.

შენიშვნა 2. კოლეგიის პრეზიდიუმის ასარჩევად საჭიროა საზოგადო კრებას დაესწროს დამცველთა კოლეგიის წევრების ნახევარზე არა ნაკლები რიცხვი.

10. კოლეგიის პრეზიდიუმს შეუძლიან დაადოს კოლეგიის წევრს დისციპლინარული წესით შემდეგი სასჯელი: ა) გაფრთხილება) ბ) საყვედური. გ) ჯარიმა კოლეგიის ფონდის სასარგებლოდ; დ) გამორიცხვა კოლეგიის წევრებიდან უვადოდ, ან ვადით. ყოველი დადგენილება დისციპლინალური საქმის გამო კოლეგიის პრეზიდიუმმა უნდა აცნობოს ოლქის სასამართლოს.

11. კოლეგიის პრეზიდიუმის დადგენილება დისციპლინალური საქმის გამო შეიძლება დაზარალებულმა, ან დისციპლინალური წესით პასუხისგებაში მიცემულმა კოლეგიის წევრმა ან და პროკურორმა განასაჩივროს ოლქის სასამართლოში. საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს კოლეგიის პრეზიდიუმში, რომელიც საჩივარს მთელ საქმესთან ერთად გადაუგზავნის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს, ხოლო უკანასკნელი საჩივარს თავისი დასკვნით შეიტანს ოლქის სასამართლოს პლენუმში.

12. კოლეგიის პრეზიდიუმი ყოველ ნახევარ წელს ოლქის სასამართლოს პლენუმს წარუდგენს ანგარიშს კოლეგიის, და კერძოდ კონსულტაციის მოქმედებისა.

13. კოლეგიის პრეზიდიუმს აქვს თავისი ბეჭედი.

14. სასამართლოში საქმის წარმოებისათვის კოლეგიის წევრის რწმუნებით აღჭურვა მოხდება დაინტერესებული პირის, ან დაწესებულების მიერ ნოტარიული წესით სათანადოდ შემოწმებული რწმუნების ქაღალდის მიცემით, ან იმ სასამართლო ორგანოსთვის განცხადებით (სიტყვით თუ წერილით), სადაც საქმე წარმოობს.

შენიშვნა: მუშათა და იმ მოსამსახურეთა საქმეების გამო, რომელთაც უფლება აქვთ დამცველს გასამრჯელო ნიხრით მისცენ, და აგრეთვე უსასყიდლოდ დასაცველ საქმეების გამო კოლეგიის პრეზიდიუმის ორდერი სისხლის სამართლის საქმეში რწმუნების ქაღალდის მაგიერია, ამასთანავე დამცველი ამ ორდერის ძალით სარგებლობს ყველა იმ უფლებას, რასაც ანიჭებს მას საქართველოს სოც. საბჭ რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

15. დამცველთა კოლეგიის წევრს საქმის გათავებამდე არ შეუძლიან საწარმოებლად მიიღოს მოწინააღმდეგე მხარის საქმე.

16. ის, ვისაც უფლება აქვს დამცველს გასამრჯელო ნიხრით მისცეს, გასამრჯელოს იხდის ამა დებულების პირველ დანართში აღნიშნული წესისამებრ. უსასყიდლოდ დასაცველ საქმეებისათვის საჭირო ხარჯი (წასვლა-მოსვლა, ასლის გადაღება და სხვ. დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის დადგენილებით გაწეულ უნდა იქნეს დამცველთა კოლეგიის ფონდიდან თანახმად წარმოდგენილი ანგარიშისა.

17. იმ შემთხვევაში, უკეთუ დამცველი დაენიშნა ისეთ პირს, რომელსაც უფლება არა არა აქვს დამცველს გასამრჯელო ნიხრით გადაუხადოს, ან ისეთ პირს, რომელიც არ სარგებლობს უსასყიდლოდ დაცვის უფლებას, სასამართლო, განაჩენის გამოტანისათანავე დააკისრებს ბრალდებულს დამცველისათვის გასამრჯელოს მიცემას, ამასთანავე ეს გასამრჯელო სასამართლოს მიერ უნდა განსაზღვრულ იქნეს იმ წესის მიხედვით, რაც მიღებულია სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოვო მუშა-მოსამსახურეთა დაცვისათვის.

18. კოლეგიის ყველა წევრი მოვალეა მონაწილეობა მიიღოს კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ მოწყობილ კონსულტაციაში.

19. დამცველთა კოლეგიის წევრი მოვალეა იქონიოს საქმეთა დავთარი, სადაც აღნიშნულ უნდა იქნეს: საქმის მიღების დრო, საქმის შინაარსი, საქმის მსვლელობა, აგრეთვე ყოველგვარი შემოსავალი და ხარჯი საქმის გამო და ცნობები ანგარიშის გასწორებისა, იმ პირთან, ვის საქმესაც აწარმოებს.

20. დამცველთა კოლეგიის წევრს, რომელიც მაზრაში მუშაობს, კოლეგიის პრეზიდიუმის ნებადაურთველად არ შეუძლიან ამ მაზრაში მუშაობას თავი გაანებოს.

21. კოლეგიის წევრს მუდმივად საცხოვრებელ ადგილიდან წასვლა ორ კვირაზე მეტი ხნით შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას წინდაწინვე აცნობებს კოლეგიის პრეზიდიუმს, და მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ყველა მისთვის მინდობილი საქმისათვის დანიშნულ იქნება შესაფერი მოადგილე კოლეგიის წევრთაგან.

22. დამცველთა კოლეგიის წევრი, რომელიც საცხოვრებელ ადგილს გამოიცვლის, მოვალეა აცნობოს ეს გარემოება კოლეგიის პრეზიდიუმს.

23. დამცველთა კოლეგიის გარდაცვლილის, მძიმე ავადმყოფის, უკვალოდ დაკარგულის, ან გამორიცხული წევრის საქმეებისათვის კოლეგიის პრეზიდიუმი დანიშნავს მოადგილეს კოლეგიის წევრთაგან, რომელიც მოვალეა მიიღოს ყოველივე ღონისძიება წარმოებაში მყოფი საქმეების ვითარების გამოსარკვევად და მოახსენოს ეს კოლეგიის პრეზიდიუმს.

24. დამცველთა კოლეგიის წევრი მოვალეა იმ გასამრჯელოდან, რომელსაც იღებს გადარიცხოს განსაზღვრული თანხა და შეიტანოს იგი კოლეგიის პრეზიდიუმის სახელდახელო ანგარიშზე უმეშვეოდ, ან კოლეგიის პრეზიდიუმის თუ დამცველთა სამაზრო ბიუროს მეშვეობით. გადასარიცხი თანხის რაოდენობა განისაზღვრება ამა დებულებასთან დართული წესით (მეორე დანართი).

იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილე ბროდსკი.

1923. წ. სექტემბრის 17

ქ. ტფილისი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 2-ე რაიკომი იუწყება, რომ ოთხშაბათს, 3 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე მუშათა ცენტრ. კლუბის შენობაში გაიმართება 2-ე რაიონის წევრთა და კანდიდატთა საზოგადო კრება:

დღის წესრიგი:

1. სახალხო განათლების განყოფილების მოხსენება. 2. პარტიაში მიღება. 3. მიმდინარე საკითხები.

ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

მდივნის მაგიერ ნაზაროვი.

— ოთხშაბათს, 3 ოქტომბერს, დღის 1 საათზე ტფილისის კომიტეტის სააგიტ.-პროპაგანდო განყოფილებაში გაიმართება თათბირი. [illegible] გრამების ანგარიშების ფორმის დამტკიცება და მიმდინარე საქმეები.

მოწვეული არიან რაიონების საგიტ-საპროპ. [illegible] ამხ. დევი, ლომაძე, ელისაბედაშვილი, კოსტანიანი და [illegible]

ტფილისის კომიტეტის საგიტ-საპროპ. [illegible]

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 2-ე რაიკომი ი რომ ქვემოდ დასახელებულმა ამხანაგებმა შემოიტანეს რაიკომში განცხადებანი კო ტურ პარტიის რიგებში შემოსვლის შესახებ.

იმ ამხანაგებს და პირებს, რომელთაც მოეპოვებათ რაიმე მამხილებელი სა დასახელებულ ამხანაგების წინააღმდეგ, 2-ე რაიკომი სთხოვს 3 ოქტომბრამდე წა გინონ მასალები რაიკომში (მიხეილის პრ. 96).

1. გოცირიძე გიორგი—წყალსადენის სახელოსნოს მუშა. 2. არიშინა ევდოკ საკიანცი გიორგი—ძმ. პორტნოვების წისქვილის მუშა. 4. მირზოიანი აშიკ—სასურ სახ. კომის. ცენტრ. საწყ. მუშა. 5. შახოვი არტურ—„პურის პროდუქტის" მუშა. 6. ფარიძე ნიკოლოზ—სას. სახ. კომის. სატრანსპორტო ეზოს მუშა. 7. ეირანოვი არ ინტელიგენტი, ახალგაზრდათა კომკავშირის წარმომადგენელი მუშათა ახალგაზრ შორის. 8. პავლიაშვილი ალექსანდრე—ინტელიგენტი, საქ. კომპარტიის ტფილისის მიტეტში. 9. გაბელაიშვილი პისან—მუშა.

მდივნის მაგიერ—ნაზაროვი.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ამხ. მ ჩოლოყავას ორი დღის განმავლობაში გამოცხადდეს საქ. კომპარტიის ტფ კომიტეტის აღრიცხვა-სტატისტიკურ ქვე-განყოფილებაში.

ტფილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ: გოლდბაუმი.

აღრიცხვა სტატისტიკურ ქვე-განყოფილების გამგე. ბარსეგოვი.

პროფესიონალური

განათლების მუშაკის სახლში.

ხუთშაბათს, 4 ოქტომბერს, დილის 11 საათზე სკოლის გარეშე განათლების კის სახლში (ალექსანდრეს ბაღი, ყოფილი პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკა, სარ მესამე) დანიშნულია საკლუბო სექციის სხდომა. აუცილებლად საჭიროა, რათა ყო მუშაკი საკლუბო ასპარეზზე გამოცხადდეს დანიშნულ დღეს.

მუშათა ცხოვრება

— **ალ. ყაზბეგის ნაწერების გამოცემა.** სახ. გამომცემლობა შეუდგა ალ. ყაზბეგის ნაწერების ბეჭდვას, რომელიც გამოვა ახლო ხანში რამდენიმე წიგნათ.

— **„ქრისტინეს" გასამართლება.** პარასკევს, 5 ოქტომბერს, თვითმშრომელთა კლუბში, გაიმართება ეგ. ნინოშვილის მოთხრობის „ქრისტინეს" ლიტერატურული გასამართლება.

— **პროლეტკულტის ტეხნიკუმი.** ტეხნიკუმის სათეატრო განყოფილების მეცადინეობა დაიწყება ხუთშაბათს 4 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, პროლეტკულტის არენის ბინაზე (ყოფ. მცირე თეატრი). ტეხნიკუმის მსმენელთა ქართველ შემადგენლობის გამოცხადება სავალდებულოა.

— **პროლეტარულ მწერალთა კავშირის გაზეთი.** მომავალ კვირას გამოვა პროლეტარულ მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი „ორიონ".

— **ეროვნულ უმცირესობათა დღესასწაული.** საქ. პროფკავშირთა საბჭოს დადგენილებით გადაწყვეტილია შემუშავებულ იქნეს ეროვნულ უმცირესობათა დღესასწაულების ცხრილი.

— **ქართველი სტუდენტები მოსკოვში.** ვახტანგ მჭედლიშვილის მიერ მოსკოვში დაარსებულ დრამატ. სტუდიაში შესასვლელად ამ დღეებში განათლების კომისარიატის ხარჯზე მიემგზავრება 7 ახალგაზრდა, რომლებიც მოსკოვში უზრუნველყოფილნი იქნებიან „ეროვნული ხელოვნების სახლის" მიერ.

პროვინციაში

ს. ხუნწი (სენაკის მაზრა)

ს. ხუნწის თემის მცხოვრებნი ადგილობრივი აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. თეიმურაზ ხარებავას ინიციატივით დიდი ხანია შეუდგნენ შარა-გზების შეკეთებას და ქვიშით მოყრას. გლეხ-კაცები ხარ-კამეჩით და ურმებით ხალისიანად მუშაობენ. მათმა მუშაობამ დღეს ბრწყინვალე შედეგები მოგვცა: ქ. ხონისკენ, დაბა ნოქალაქევისაკენ მარტვილისა და ურიაკარისკენ მიმავალი შარა-გზები გაკეთებულია. ის დაბრკოლებები, რომელსაც წინეთ შეხვდებოდით, დღეს გლეხ-კაცების დაკოჟრილი ხელებით და ოფლით მოსპობილია და ურმით მგზავრისთვის გზა ხსნილია.

კულტურულ დონის ასაწევად იმავე თემის მუშაკების ამხ. ამხ. თეიმურაზ ხარებავას, პავლე ფირცხალავას და სხვ. ინიციატივით და მაზრის დახმარებითაც თემში დიდი ნაბიჯია გადადგმული.

ძველ, ერთ „კლასიან" სასწავლებლის ადგილზე შენდება შრომის 4 კლასიანი სკოლა. მუშაობაში გულმხურვალე მონაწილეობას ღებულობენ მთელი თემის მცხოვრებნი. თემის გლეხობას გულს უხარებს მთავრობის ორგანოების ასეთი აქტივობა. სიხარულით აღტაცებულ გლეხებში ხშირად გაიგონებთ სახლში და მუშაობაში: „მე-კი უსწავლელი დავრჩი, მაგრამ სამაგიეროდ ჩემი შვილი ისწავლის და ის მიჩვენებს სიმართლის გზასო". გლეხკაცობა რომ თავის გვერდში მომუშავე პარტიულ ამხანაგებს, ხელისუფლების წარმომადგენლებს ხედავს, ეს მოვლენა უათკეცებს მუშაობის ხალისს და ენერგიას.

სკოლა მომავალი წლის იანვრიდან მზად იქნება, თუ რომ მაზრის აღმასკომმა ცოტა დახმარება გაუწია.

კულტურულ მუშაობაში საპატიო ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე წარმოდგენების მოწყობას. კლუბის საგანგებო შენობა სოფელს არ მოეპოვება, სამაგიეროდ პიესების დასადგმად იყენებენ აღმასკომის კანცელარიის შენობას. სცენის მოყვარენი დიდი ხალისით ეკიდებიან საქმეს. ისინი გლეხკაცობას მადლობელს და წარმოდგენით კმაყოფილს ისტუმრებენ.

თემს აქვს აგრეთვე სამკითხველო. უნდა აღინიშნოს, რომ კომუნისტური ლიტერატურ. ნაკლებად მოგვეპოვება; გაზეთები საკმაოდ მოგვდის.

თემს განზრახული აქვს მომავალში დაარსოს ტელეფონის განყოფილება ერთი „მორზე"-ს აპარატით. ამ გეგმას თემი აღტაცებაში მოჰყავს, და იმედს გამოსთქვამს, რომ მაზრის აღმასკომი განსახორციელებლად აქაც გამოიღებს თავის წვლილს.

ბაგ. ხუნწელი.

სოფ. საჭილაო (სენაკის მაზრა)

სოფ. საჭილაოში შედის რამოდენიმე სოფელი: ილორი პირველი, ილორი მეორე, ქვიშანჭალა, გაუწყინარი და სხვა. მცხოვრებლები მეტ წილად მისდევენ მეურნეობას; მოჰყავთ სიმინდი, ღომი, კრუპა და სხვა. პურის მოყვანას ნაკლებად მისდევენ. მდინარე ცხენის-წყალი, რომელიც აღმოსავლეთით საზღვრავს ხსენებულ სოფელს, გადავიდა ახალ კალაპოტში, წყალი თითქმის დამშრალია, უმოძრაოთ დგას, რის გამო ამ ბოლო დროს ძლიერ გახშირდა ციებ-ცხელება. ქინაქინა მამასისხლათ ფასობს. გარეგნობით სოფ. საჭილაო ხიბლავს და აჯადოებს მნახველს. ბუნებით ლამაზად არის დაჯილდოვებული. სოფლის გლეხობას ტანისამოსი აკლია. საჭიროა ყურადღების მიქცევა, მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, თორემ ამ გარემოებით სარგებლობენ ადგილობრივი ბნელი ძალები და ათასნაირ ჭორებს ავრცელებენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. სოფლის საერთო სურათი საგრძნობლად შეცვლილია: გაყვანილია ფართე შარაგზები, რომელსაც ჯერ კიდევ დიდი მუშაობა სჭირდება; ეკლესიები გადაკეთებულია კლუბებათ,—აღარ ისმის კვირა-უქმე დღით მატყუარა მღვდლების ღაღადი; ხატებისა და ჯვრების მაგივრათ კედლებს ამშვენებს რევოლიუციის ბელადების სურათები; ადგილობრივი ძალების მიერ ხშირათ იდგმება წარმოდგენები, რომელსაც დიდძალი ხალხი ესწრება. არ კმარა მარტო წარმოდგენების მართვა, საჭიროა ლექციები ანტირელიგიური ხასიათის. მარტო „ქრისტინეს" და „არსენას" დადგმით ვერ აღმოვფხვრით ხალხის გულიდან სარწმუნოებას, ვერც რევოლიუციის სიყვარულს გაუღრმავებთ.

სამკითხველოები ღარიბია წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით. წარმოდგენების შემოსავალი უნდა ხმარდებოდეს სამკითხველოს გაძლიერებას. აღსანიშნავია ერთი არასასიამოვნო მოვლენა. ადგილობრივი ხელისუფლება არავითარ დახმარებას არ უწევს წითელარმიელთა ოჯახებს. დახმარება წითელარმიელთა ოჯახებს მათ წარმოუდგენიათ შემდეგი სახით: თუ წითელარმიელს ვინმე ჰყავს ოჯახში, თუნდაც მოხუცი, შრომის უნარ მოკლებული, მათ დახმარება არ უნდა. წითელარმიელის ოჯახი მაშინ არის ყურისაგდები, თუ მას არავინ არ ჰყავს. იმის მაგივრათ, რომ დახმარება გაუწიონ მათ ოჯახებს, აწუხებენ მშობლებს და ემუქრებიან ოჯახიდან ნივთების გატანით, თუ დროზე არ გადიხდიან გადასახადს.

საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს, რათა მთავრობის დადგენილება არ დარჩეს მარტო ქაღალდზე.

სასოფლო აღწერა უკვე დამთავრდა.

მოსავალს, გასულ წელთან შედარებით, ნაკლები პირი უჩანს.

ქ. საჭილაველი.

ქ. სურამი

ხუთშაბათს, 27 სექტემბერს საღამოს 5 ნახ. საათზე, მუშათა კლუბში შესდგა სურამის საბჭოთა მუშა-მოსამსახურეების საერთო კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. გარსევანოვი და მდივნობდა მამინოვი. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) შრომის კანონების დაცვის შესახებ; 2) დამზღვევი სალაროს შესახებ; 3) შრომის რწმუნებულის მოხსენება; 4) სამკურნალო განყოფილების გამგის მოხსენება; 5) ადგილკომის მოხსენება; 6) ადგილკომის არჩევნები; 7) სარევიზიო კომისიის არჩევნები; 8) დელეგატების არჩევნები სამაზრო პროფ-კავშირთა კონფერენციაზე, და 9) მიმდინარე საკითხები.

შრომის კანონების დაცვის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ღამბაროვი, რომელიც მდაბიო ენით დაწვრილებით აცნობს დამსწრეთ შრომის დაცვის კანონებს. შრომის დაცვას სურამში ნაკლები ყურადღება ჰქონია მიქცეული, რაც დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს.

დამზღვევი სალაროს შესახებ მოხსენებას აკეთებს იგივე ამხანაგი, რომელიც დაწვრილებით აცნობს კრებას, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას მუშა-მოსამსახურეებისათვის.

მესამე საკითხზე მოხსენებას აკეთებს ყოფილი შრომის რწმუნებული ამხ. გედენიძე, რომელსაც აღმოჩნდა, რომ თითქმის არაფერი არ გაუკეთებია, და ყველა ადმინისტრატორი შრომის რწმუნებულის დაუკითხავად იღებდა ამა თუ იმ თანამდებობაზე მოსამსახურეს. მისი მოხსენება არა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

სამკურნალო განყოფილებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ზახარიანცმა, რომელმაც გააცნო დამსწრეთ, თუ როგორ უნდა მოიქცეს თითეული მათგანი სამკურნალო საჭიროების დროს. ადგილკომის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. ნებიერიძე. ადგილკომს თავისი ორი თვის მუშაობის განმავლობაში ბევრის გაკეთება ვერ მოუსწრია. ადგილკომში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: გაგნიძე პლატონი, ნებიერიძე შაქრო, ლომსაძე გიორგი და კანდიდატად კურტანიძე ვანო. სარევიზიო კომისიაში: გოგალაძე ნიკალა, გედენიძე სარდიონი და გოგალაძე ვასო. დელეგატებად სამაზრო პროფკავშირის კონფერენციაზე კალანდარაშვილი, ნებიერიძე და ალ. დათეზოვი. მიმდინარე საკითხებში იყო მრავალი სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხები, რომელნიც გადაეცა საკონფლიქტო კომისიას, რომელიც ამავე კრებაზე იქნა არჩეული. ვუსურვოთ სურამის ახალ ადგილკომს ნაყოფიერი შრომა და არა ისეთი, როგორც დღემდე იყო.

ი. გაგოშიძე.

განცხადებები

გულდამწვარი და ძალზე დამწუხრებულნი დები: ქეთო და თამარ ტრიფონ გურგენიძის ასულნი, სიძე ლ. ჯაფარიძე და ახლო ნათესავნი ამით აცხადებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთა საყურადღებოთ, რომ ა. წ. 1 ოქტომბერს, დიდი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის უსაყვარლესი და, მეორეების კი უძვირფასესი ნათესავი ს. ს. ს. რ. ნარკომპროდის თანამშრომელი

ელენე ტრიფონ გურგენიძის ასული

პანაშვიდი იქნება გადახდილი მიხეილის საავადმყოფოს სამლოცველოში 2 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, დაკრძალვა კი მოხდება ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე ოთხშაბათს 3 ოქტომბერს, სრულ 4 საათზე, იქავე საავადმყოფოს სამლოცველოდან გამოსვენებით.

1250—1—

სახელმწიფო აკადემიური თეატრების დირექცია

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 4 ოქტომბერს დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

რუსთაველის და ოპერის თეატრების ბუფეტებისა იჯარით გასაცემათ.

მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ თავის პირობებით ოპერის თეატრის კანტორაში 4 ოქტომბერს, დილით 10 საათამდე.

646—1—

ბათომის კომუნალური მეურნეობის განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 15 ოქტომბერს დღის 12 საათზე კომუნალური მეურნეობის შენობაში დანიშნულია წერილობითი

საჯარო შეჯიბრება

იჯარით გაცემის 7 წლის ვადით კომუნალურ მეურნეობის კუთვნილ სახლის (**ყოფილი სასტუმრო ფრანცია ტროცკის ქუჩა**), რომელიც შესდგება სარესტორანო შენობიდან მოწყობილობით და 28 საცხოვრებელ ოთახებიდან ავეჯეულობით.

მსურველებმა ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებისა უნდა გამოგზავნონ არა უგვიანეს 12 საათისა დღით 15 ოქტომბერს ამა მიმდინარე წლის წერილობითი განცხადება დაბეჭდილ კონვერტებში კომუნალური მეურნეობის სახელზე წარწერით „სასტუმრო ფრანციას" იჯარით გამცემ კომისიას.

განცხადებასთან უნდა იყოს შემდეგი დანართები:

1) ბარათი სახელმწიფო ბანკის კომუნალური მეურნეობის მიმდინარე ანგარიშზე 30 ჩერვონცის შეტანისა.

2) ხელწერილი მაზედ, რომ თუ წარმოდგენილი პირობები იქნება მიღებული და კონტრ აგენტი უარს განაცხადებს ხელის მოწერას ხელშეკრულებაზე ერთი კვირის ვადაში დღიდან მისი დამტკიცებისა, შემოტანილი საწინდარი რჩება კომუნალური მეურნეობის სასარგებლოდ და პირობა ჩაითვლება გაუქმებულად.

3) საბუთები, რომლებიც დაადასტურებენ პირადობას და რწმუნება შეჯიბრებაში მონაწილეობის მიმღებთა პირების, შემოტანილი საწინდარი იმ პირის, რომლის წინადადება იქნება მიღებული, დარჩება როგორც ასეთი და ამას გარდა პირობის შეკვრის დროს აღნიშნული საწინდარი უნდა იქნას შევსებული 10 პროცენტამდე ხელშეკრულების სრული თანხიდან.

ფასები უნდა იქნას განცხადებული ჩერვონცებით. განცხადებები უნდა იქნას გადახდილი სალერბო გადასახადით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე კომუნალურ მამულების ქვე-განყოფილებაში.

კომუნალურ მეურნეობის გამგე **ვ. ჩიჩბა.**

კომუნალურ მამულების განყოფილების გამგე **კანდელაკი.**

საქმეთა მმართველი **ბელქანია.**

კრ. 649 7—1.

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით [illegible]

მიხეილ ბედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფობათათვის—რომელნიც ფიზიკურ [illegible] ექიმობას საჭიროებენ.

სამკურნალო სწარმოებს **ექ. სიმონ ჯიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, გოლოვინის ქ. № 20.

(1252—25—1

დავკარგე ხარაგოულის მთლიან შრომის სკოლის კურსის დამთავრების ატესტატი გაცემული იოსებ კეკე სახელზე № 198. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1248—1

დავკარგე პასპორტი № 355 მოქალაქე ევდოკია ივანეს ას რომანენკოს სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1249—1

დავკარგე სამტრედიის ტეხნიკუმის მოცემული მოწმობა კლასის თამარა ანდრიაძის სახელზე მოცემული 26 სექტ. № 336. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1251—1

„ზარია ვოსტოკას" სტამბა. კრუზენშტეინის ქ. № 4.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა